# ალია

**მინდია ქაშიბაძე ბადაშვილის პროკურატურას უმოქმედობაში ადანაშაულებს და ჭუტა წერეთლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს**

N138/3068/ 19–22 seqtemberi 2014w ფასი 1 ლარი
ორშაბათი ქრონიკა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია paraskevi ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE გამოდის 1995 წლიდან

## ვალერი გელბახიანი: „მარგველაშვილის სახით, ცეცხლს ეთამაშებიან!..“



**ბერკეტები, რომლითაც პრეზიდენტს მოწინააღმდეგეების განეიტრალება შეუძლია**

## maka CiCua _ `rusTavi 2~-is proeqtis JiuriSi, ana margvelaSvili _ gadacemis wamyvanad?

**რას უყვებიან „ალიას“ პრეზიდენტის ოჯახის წევრებზე**

## saidan aqvT givi TargamaZes, irma nadiraSvils, giga bokerias saidumlo informaciebi?



**„ნაციონალებმა“ კიდევ ერთი „ენჯეო“ შექმნეს**

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

**უგულავას წერილში გაცემული რა ინსტრუქციების შესრულება დაიწყო „ნაცმოძრაობამ“?**



**რით დაემუქრნენ და რის თქმას აპირებს მურმან დუმბაძე მარგველაშვილისთვის?**



**რა კავშირი აქვს პარლამენტარ შოთა შავგულიძეს „სუბოტექსზე“ დაკავებულ ერისთავთან?**



# maka CiCua _ `rusTavi 2~-is proeqtis JiuriSi, ana margvelaSvili _ gadacemis wamyvanad?

## რას უყვებიან „ალიას“ პრეზიდენტის ოჯახის წევრებზე



„ალიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდიან – პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილს გადაუწყვეტია (თავისი გარემოცვის რჩევით), საკუთარი ცოლ-შვილი სათანადოდ გააპიაროს. როგორც ჩანს, „გაამბიციურებული“ პრეზიდენტი უკვე თვლის, რომ პირველი ლედი საკმარისად არ არის წარმოჩენილი, ანუ მას საზოგადოება კარგად არ იცნობს და ამიტომაც, როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამ საქმეში „ნაციონალების“ ერთ-ერთი ლიდერი, ირმა ნადირაშვილი ჩართეს:

„მოგეხსენებათ, ნადირაშვილი თავის დროზე მიშა სააკაშვილის პიარი და მისი დავალებების უსიტყვო შემსრულებელი იყო, ის უზრუნველყოფდა მიშას საპიარო თემების გაშუქებას სხვადასხვა ტელეკომპანიებში – „რუსთავი 2“-ში, „იმედში“ და ასე შემდეგ. მიშას დავალებით ირმა ნადირაშვილი ჩაერთო მარგველაშვილის გასაპიარებელ ღონისძიებებში. მის გასაპიარებლად მიშამ, ნიკა გვარამიამ და ირმა ნადირაშვილმა მოიფიქრეს, რომ მარგველაშვილის ცოლი, მაკა ჩიჩუა ჩასვან „რუსთავი 2“-ის რომელიმე მუსიკალური შოუს, მაგალითად, „იქს ფაქტორის“ ჟიურის წევრად. ასევე აპირებენ, ანა მარგველაშვილისთვის, ანუ პრეზიდენტის შვილისთვის გააკეთონ სპეციალური საავტორო გადაცემა. მე არ ვიცი, ანას რა შეუძლია ამ სფეროში, მაგრამ რამეს მოიფიქრებენ, რომელიმე გადაცემას მოარგებენ. რაც მთავარია, ის თავისუფალი ქცევითა და არაორდინარულობით გამოირჩევა“.

ეტყობა, გიორგი მარგველაშვილი ფიქრობს, თუკი ბიძინა ივანიშვილს შეუძლია გადაცემის წაყვანა, ჩემმა ცოლ-შვილმა რაღა დააშავაო? არ არის გამორიცხული, უახლოეს ხანში თვითონაც მოუნდეს რომელიმე არხზე ტოქშოუს გაკეთება, გააჩნია, როგორ წაუვა ამ სფეროში საქმე ბიძინა ივანიშვილს. როგორც ინკოგნიტო წყარო ამბობს, ეს საქმე დავალებული აქვს **ირმა ნადირაშვილს**, მაგრამ „ალიასთან“ საუბარში ის ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს:

**— ირმა, ამბობენ, რომ ეს ყველაფერი კეთდება შენი ხელდასმით. უკვე გადაიბირე მარგველაშვილი თავის ოჯახიანად?**

– მარგველაშვილი ბოლოს, ალბათ, 10 წლის წინათ ვნახე, როცა პარლამენტში მოვიდა ანგარიშის წარსადგენად. უკაცრავად, მაგრამ „სუს“-ის ჭორებზე სერიოზულად ვერ ვილაპარაკებ.

**— 10 წლის წინათ როგორ მოვიდა მარგველაშვილი პარლამენტში, როცა 1 წელია, რაც პრეზიდენტია?**

– არა, ცუდად გიპასუხე... 10 წელია, რაც მარგველაშვილი არსად მინახავს. ანუ „ვარდების რევოლუციის“ დროს ვხედავდი მიტინგებზე. იმის მერე არ მინახავს, პარლამენტში რომ მოვიდა, მაშინაც კი.

**— ირმა, „სუსი“ რა არის, უშიშროება?**

– ჰა, ჰა... ვაფასებ შენს იუმორს.

**— და სულ რატომ გგონია, რომ მე „სუსი“ მაწვდის ინფორმაციებს? ხომ შეიძლება, მაკა ჩიჩუაც იყოს ჟიურის წევრი?**

– ზუსტად ვიცი, შეიძლება შენ არ გირეკავენ პირადად, მაგრამ ასეთ ჭორებს ეგენი ავრცელებენ და უზრუნველყოფენ, რომ ჟურნალისტებამდე მივიდეს.

**— ან აქამდე რატომ არ ჩასვით ჩიჩუა რომელიმე გადაცემაში, ხელი რომ არ ჰქონდა მოწერილი მარგველაშვილთან, იმიტომ?**

– გელა, თუ აპრიორი გჯერა, რომ ეს სიმართლეა, მაშინ აღარასდროს გიპასუხებ, რა აზრი აქვს?

**— მე არაფერს გამოვრიცხავ.**

– ისე მეუბნები, როგორც დადასტურებულ ფაქტს, რა წესია ეგ? ჰოდა, მაშინ შენი ფანტაზიებით წერე. როცა მეკითხები, ადრე რატომ არ ჩასვიო, ესე იგი გჯერა, რომ ახლა ვაკეთებ ამას.

**— ესე იგი, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს? ვიფიქრე, უბრალოდ, შეიძლება სურვილი იყო-მეთქი.**

– ეს „სუს“-ის ბინძური ჭორია, მორიგი ჩემი მისამართით და სერიოზულ კომენტარს ვერ გავაკეთებ. მე არც ჩიჩუას ოჯახში ვიცი, რა ხდება და არც „რუსთავი 2“-ში, არც მაინტერესებს.

როგორც ხედავთ, ირმა ნადირაშვილს საერთოდ არ აინტერესებს, რა ხდება მარგველაშვილ-ჩიჩუას ოჯახში და... თქვენ წარმოიდგინეთ, „რუსთავი 2“-შიც. კი, ბატონო, შეიძლება საზოგადოებამ პირველში რაღაცნაირად ეჭვი შეიტანოს, მაგრამ მეორეში, ანუ „რუსთავი 2“-ის მიმართ ასეთ მიდგომას არავინ დაიჯერებს. არადა, თავად ამ ტელეკომპანიის მესვეურები და თანამშრომლებიც არ მალავენ, რომ „ნაცმოძრაობას“ ემსახურებიან.



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

### „ეს ჩემ მიმართ მოწყობილი შანტაჟია“




ბარბარე რაფალიანცის ოჯახის ადვოკატი ლალი ბიწოშვილი აცხადებს, რომ ჩანაწერი მისი ნებართვის გარეშეა გაკეთებული.

„მე „ქართული ოცნებისთვის“ არასოდეს მიღალატია, ეს არის ჩემი სიცოცხლის შანტაჟისა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ ჩაწერილი ჩანაწერი. ჩანაწერში რაზედაც არის საუბარი, ეს არის დაშინებით, რომელიც მიმდინარეობდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში, რომ მე მომკლავდნენ, მე ვიყავი ძალიან დიდი ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ და ეს ჩანაწერი რაც არის გაკეთებული ეს არის ჩემს მიმართ მოწყობილი ჩვეულებრივი შანტაჟი. ეს არის ზაზა წოწელია, რომელიც გარკვეული პერიოდის განმავლობაში ჩემთან მეგობრობდა. წოწელიას უკან ეს ჩემთვის უცნობია და ამას გამოძიება დაადგენს“, – განაცხადა ბიწოშვილმა.

16 სექტემბერს გავრცელდა ვიდეომასალა, სადაც, ორი წლის წინათ საეჭვო ვითარებაში გარდაცვლილი ჩვილის, ბარბარე რაფალიანცის ოჯახის ადვოკატი ლალი ბიწოშვილი ამბობს, რომ ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეში დამნაშავე „ქართული ოცნებაა“. ვიდეო 2014 წლის თებერვალშია ჩაწერილი, დღეს კი აცხადებს, რომ ეს ინფორმაცია არ დადასტურდა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

### თამაზ ნადარეიშვილის სახელობის ქუჩას სახელი არ შეცვლია



თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ლია ჯახველაძე თამაზ ნადარეიშვილის ქალიშვილის, ანი ნადარეიშვილის გავრცელებულ ინფორმაციას ეხმაურება, რომლის მიხედვითაც თამაზ ნადარეიშვილის ქუჩას სახელი გადაერქვა და კამანის ქუჩა ეწოდა.

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მინდა, გაცნობოთ, რომ თამაზ ნადარეიშვილის ქუჩას სახელი არ შეცვლია. მოგეხსენებათ, მიმდინარეობს ქალაქის თანამედროვე სტანდარტებით დამისამართება, ზემო ვეძისის დასახლებაში გამოიკვეთა რამდენიმე ათეული უსახელო ქუჩა, რომლის მისამართის არქონა მთელ რიგ პრობლემებს უქმნიდა მაცხოვრებლებს. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სამისამართო სამსახურთან თანამშრომლობით ჩვენ დავამისამართეთ ხსენებული ქუჩები. თბილისის საკრებულოს 2014 წლის 2 სექტემბრის №85 განკარგულებით საბურთალოს რაიონში, თამაზ ნადარეიშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩას და მასთან არსებულ ჩიხს მიენიჭა კამანის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად. კამანის ქუჩას არავითარი კავშირი არ აქვს ნადარეიშვილის ქუჩასთან. ვინაიდან ოპონენტებს გაუჩნდათ კითხვა, რატომ კამანი, ეს კიდევ ერთხელ მათ უვიცობას და უცოდინრობას უსვამს ხაზს, მათ არ იციან არათუ ძველი, არამედ უახლესი ისტორიაც. კამანი ეს არის პატარა იერუსალიმი (ასე უწოდა მას უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს პატრიარქმა), სოფელი ოკუპირებულ აფხაზეთში, კამანის ეკლესიაში მოწამეობრივად აღესრულა მამა ანდრია ყურაშვილი, ის აფხაზმა სეპარატისტებმა ტაძარში დახვრიტეს, კამანთან იმართებოდა ჩვენთვის მნიშვნელოვანი ბრძოლები. აქვე მინდა განვაცხადო, რომ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტოპონიმები და გმირთა სახელები ყოველთვის იქნება პრიორიტეტი სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიისთვის. „ნაციონალური მოძრაობა“ ასეთ მგრძნობიარე თემებზე კვლავ აგრძელებს სპეკულირებას და შეცდომაში შეჰყავს საზოგადოება, ქუჩისთვის თამაზ ნადარეიშვილის სახელი არც შეცვლილა და არც მომავალში იგეგმება“, – განაცხადა ჯახველაძემ. (ფრონტნიუსი)

# saidan aqvT givi TargamaZes, irma nadiraSvils, giga bokerias saidumlo informaciebi?

**„ნაციონალური მოძრაობა“ პროვოკაციების მოწყობის საგანგებო რეჟიმზეა გადასული, სახელმწიფო უწყებებში მიდის ფარული მუშაობა. მიხეილ სააკაშვილის ბანდის წევრების მთავარი ამოცანაა, მოახდინონ ხელისუფლების დისკრედიტაცია.**

**თუ რა ხდება კონკრეტულად, ამაზე „ალიას“ „სახალხო კრების“ წევრი, ლაშა ამირეჯიბი ესაუბრა:**



– დღეს „ნაციონალებს“ ჰგონიათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო არის დასუსტებული. მაგათ დაინახეს, რომ მოხდა რამდენიმე მკვლელობა, რამდენიმე ყაჩაღობა და დაიწყეს საინფორმაციო კამპანია: ნახეთ, პოლიცია ისე ვერ მუშაობს, როგორც ადრე მუშაობდაო. სამწუხაროდ, ამას ემატება ერთი ფაქტორი... გინდა მეხუთე კოლონა დაარქვი, გინდა – მეშვიდე, დღეს ყველა სამინისტროში ხუთიდან სამი თანამშრომელი არის „ნაციონალი“. ახლა ვსვამ კითხვას: საიდან აქვთ გივია თარგამაძეს, ირმა ნადირაშვილს, გიგა ბოკერიასა და სხვებს საიდუმლო ინფორმაციები? საიდან და მათ სახელმწიფო უწყებებში ჰყავთ აგენტები, თანამშრომლები, თავიანთი ხელქვეითები, რომლებიც სისტემატურად აწვდიან ინფორმაციას. შე მამაცხონებულო, გაყარე ეს დედამოტ...ნულები, გაუშვი სამსახურებიდან, თუ არ გინდა, რომ გივია თარგამაძეს ჰქონდეს შენზე ყველა სახის ინფორმაცია. მე თუ ვიცი, ლაშა ამირეჯიბმა, რომ შიგნით მას ჰყავს ინფორმატორები, შენ არ უნდა იცოდე? არადა, კარგად იციან ყველაფერი. მერე ადამიანები ფიქრობენ: ბიჭო, ესენი განგებ ხომ არ აკეთებენ ასეთ რაღაცებს? გაიგეთ, ნებისმიერი უწყებიდან გადის ნებისმიერი ინფორმაცია – სასჯელაღსრულების სამინისტროდან, შინაგან საქმეთა სამინისტროდან, სხვა სამსახურებიდან. ამის აღკვეთას რა უნდა, ეს ხომ ოდესღაც უნდა დამთავრდეს? რა ველარ მიხედეს იმ ადამიანებს, რომლებსაც გააქვთ ინფორმაცია გარეთ და მიაქვთ „ნაციონალებთან“?! მე გულწრფელად ვამბობ ერთ რამეს: ძმაკაცურად შემეცოდა პარლამენტში მისული ირაკლი ღარიბაშვილი, გამოვიდა თარგამაძე და მწარე რაღაცები უთხრა.



**„ძალიან ცუდად აიგდეს ჭიკაიძე, ყველანაირად ცდილობენ, როგორმე გააშარჟონ. უკვე დათესეს საზოგადოებაში აზრი, რომ ამ კაცმა ლაპარაკიც არ იცის და საქმე როგორ უნდა გააკეთოს? დედის მაგისამ, ვანო მერაბიშვილი ბულბული იყო, აი! ეგ იყო, თუ იყო, ლაპარაკი საერთოდ არ იცოდა, მაგრამ ამათ უკვე მოახერხეს საზოგადოებაში ნიჰილიზმის დანერგვა და იმის შეგრძნება, რომ ქვეყანაში ხდება საშინელება და არის დესტაბილიზაცია, არავინ არ მუშაობს, არავინ არაფერს არ აკეთებს“**

**— შენ იმ პერიოდს გულისხმობ, როცა პარლამენტმა მთავრობა ხელახლა დაამტკიცა?**

– დიახ... მე მაშინ დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ირაკლი ღარიბაშვილმა ბევრი რამე არ იცოდა – რა ხდება აეროპორტში, რა ხდება ციხეებში, რა ხდება ქუჩაში, ვინ არის დარბაისელი და ასე შემდეგ. არ შეიძლება, პრემიერ-მინისტრმა ყველაფერი იცოდეს, მას უამრავი საქმე აქვს, მაგრამ რისთვის არიან სხვები, რას აკეთებენ, ხომ უნდა მიაწოდონ სწორი ინფორმაცია?

დღეს „ნაციონალებს“ იერიში აქვთ მიტანილი შინაგან საქმეთა სამინისტროზე, ძალიან ცუდად აიგდეს ჭიკაიძე, ყველანაირად ცდილობენ, როგორმე გააშარჟონ. უკვე დათესეს საზოგადოებაში აზრი, რომ ამ კაცმა ლაპარაკიც არ იცის და საქმე როგორ უნდა გააკეთოს? დედის მაგისამ, ვანო მერაბიშვილი ბულბული იყო, აი! ეგ იყო, თუ იყო, ლაპარაკი საერთოდ არ იცოდა, მაგრამ ამათ უკვე მოახერხეს საზოგადოებაში ნიჰილიზმის დანერგვა და იმის შეგრძნება, რომ ქვეყანაში ხდება საშინელება და არის დესტაბილიზაცია, არავინ არ მუშაობს, არავინ არაფერს არ აკეთებს და ასე შემდეგ. აი, ამ მიმართულებით „ნაციონალები“ მიზანმიმართულად მუშაობენ. რა უნდა მოხდეს ამის შემდეგ? როდესაც შენ გამუდმებით ურტყამ შინაგან საქმეთა სამინისტროს, აქ მუშაობს ქართული გამონათქვამი: „შეძახილმა ხე გაახმო“. „ნაციონალების“ წისქვილზე წყალს ასხამს მთავრობისა და პრეზიდენტის კინკლაობაც.

**— სხვათა შორის, დღეს მარგველაშვილს ისეთები აგინებენ, ადრე გასუსულები რომ იყვნენ და ლამის მას ხელზე ჰკოცნიდნენ. ახლა ყველამ აიშვა, თურმე პრეზიდენტმა დავით საგანელიძეს ბავშვის დაბადება არ მიულოცა, რომელიღაც მინისტრს გამარჯობა არ უთხრა, რომელიღაც მინისტრს ხელი არ ჩამოართვა. მე მაქვს ინფორმაცია, რომ მარგველაშვილის გამოყვანა უნდათ ავლაბრის რეზიდენციიდან და ასეთი აჟიოტაჟი ამიტომ არის ატეხილი.**

– სადაც უნდათ, იქ წასულან, ამათ კინკლაობაში საზოგადოება ზარალდება. რაც შეეხება იმ ადამიანებს, რომლებსაც ყველაფერი გარეთ გამოაქვთ, ამათზე რა უნდა ვთქვა? ქალაჩუნები არიან, რა დროს მილოცვებსა და გამარჯობაზე ლაპარაკია? საკუთარ თავზე ილაპარაკონ, ხალხს რა გაუკეთეს? თვითონ საგანელიძემ საზოგადოებას რა გაუკეთა? საერთოდ რა ალაპარაკებთ? ამათ ჯერ კიდევ ბიძინა ივანიშვილი რომ არ ჰყავდეთ მფარველად, აქამდე თავზე დაემხობოდათ მთელი პარლამენტი. ივანიშვილის ბოლო გამოსვლიდან თუ ვიმსჯელებთ, მას კიდევ აქვს დიდი ავტორიტეტი საზოგადოებაში. მან გააკეთა ის, რასაც ვერავინ ვერ გააკეთებდა და ეს ფაქტორი მუშაობს, მან მოაშორა მიშა სააკაშვილი. დაუკვირდი, როგორც კი ხელისუფლებას უჭირს, მაშინვე წინა პლანზე გამოდის ბიძინა ივანიშვილი და იწყებს ლაპარაკს. დღეს რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ და უარვყოთ, ეს ადამიანი არის ხელისუფლებისა და საზოგადოების გენერატორი, მაგრამ ვერ იქნება ცოცხი, რომლითაც „ნაციონალები“ უნდა გახვეტო, ეს საქმე მთავრობის, მინისტრებისა და საზოგადოების გასაკეთებელია.

**— აქამდე გასაგები იყო, პრეტენზიები ჰქონდა ივანიშვილს პრეზიდენტთან და ამაზე ღიად ლაპარაკობდა, მაგრამ ახლა, როცა ყველა მას მიესია, გამარჯობას არ გვეუბნებაო, ეს უკვე მარაზმია.**

– ამათ იფიქრეს, რომ ივანიშვილმა მწვანე აუნთო და ყველამ თავისებურად დაიწყო. გასაგებია, ბატონი ბიძინა პირდაპირ მთქმელი კაცია, ის ამჟამად მოქალაქეა, არავითარი თანამდებობა არ უკავია და ასეც უნდა იყოს. ისე, ყველაზე კარგი ის იქნებოდა, რომ ეს გარჩევები გაგრძელებულიყო კაბინეტში და არა სახალხოდ. კაბინეტში შეუძლიათ დახოცონ ერთმანეთი, ამას სახალხოდ რატომ აკეთებენ? რატომ იკნინებენ თავს და რატომ აკნინებენ პრეზიდენტს? ბოლოს და ბოლოს, ამით ვის საქმეს

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ციხეში დაფიქსირებულ თვითმკვლელობებში დეპარტამენტის თანამშრომელთა პასუხისმგებლობა იკვეთება“



სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლის ნიკა კვარაცხელიას განცხადებით, ბოლო სამი დღის განმავლობაში პენიტენციალურ სისტემაში დაფიქსირებული სავარაუდო სუიციდის ფაქტებთან დაკავშირებით, სასჯელაღსრულების თანამშრომელთა პასუხისმგებლობის საკითხი იკვეთება.

„განსაკუთრებით მინდა გამოვყო №17 დაწესებულებაში 17 სექტემბერს დაფიქსირებული სუიციდის სავარაუდო შემთხვევა. პატიმარი აცხადებდა, რომ იყო ნაცემი, ეს განუცხადა სახალხო დამცველის წარმომადგენლებს, შესაბამისი მიმართვა საქართველოს პროკურატურაშიც გაიგზავნა. მას ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, მათ შორის ფსიქიკურიც. არაერთხელ ჰქონდა წარსულში თვითდაზიანებები მიყენებული. აშკარა იყო, რომ პატიმარი მაღალი რისკის გახლდათ და შესაძლებელი იყო ეს ფატალური შედეგი დამდგარიყო. ეს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებს უნდა გაეთვალისწინებინათ. ის კი 16 სექტემბერს მარტო იქნა მოთავსებული საკანში. მან დაიწყო შიმშილობა, თუმცა პროტესტის მოტივი ოქმში დაფიქსირებული არაა. მათ იცოდნენ, რომ პირს ჰქონდა მიდრეკილება თვითდაზიანებისკენ, ჰქონდა ჯანმრთელობის პრობლემა, მაგრამ არ მიიღეს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები, რაც საბოლოოდ ფატალურ შედეგში გადაიზარდა“, – განაცხადა კვარაცხელიამ. (ფრონტნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## დასაქმების ახალი პროგრამა ჯანდაცვის სამინისტროსგან



20 სექტემბერს თბილისში დასაქმების პირველი მასშტაბური ფორუმი გაიმართება. იმისთვის რომ ფორუმზე მოხვდნენ, დასაქმების მსურველებმა რეგისტრაცია უნდა გაიარონ ონლაინ მისამართზე **WWW.SSA.GOV.GE** და ამასთანავე აუცილებელია, პირი რეგისტრირებული იყოს შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემაში მისამართზე **WWW.WORKNET.GOV.GE.**

ასევე რეგისტრაციისთვის პირებს შეუძლიათ მიაკითხონ სოციალური მომსახურების სააგენტოს ტერიტორიულ ცენტრებსა და ცენტრალურ ოფისს. რეგისტრაცია 25 ათას ადამიანს შეეძლება, დამსაქმებელი კომპანიების რიცხვი კი დაახლოებით 150-180-მდეა. რეგისტრაცია 19 სექტემბრის 24.00 საათზე სრულდება. (ნიუპოსტი)

*მესამე გვერდიდან*

აკეთებენ? მარგველაშვილი მაინც პრეზიდენტია, ქვეყნის სახეა. კი, მაგრამ ესენი არ იყვნენ, რომ გვარწმუნებდნენ, მარგველაშვილი მაგარი პრეზიდენტი იქნებაო? ჯერ ამაზე მოიხადონ ბოდიში და მერე აკრიტიკონ! ამათ სხვა საქმე აქვთ გასაკეთებელი, მაგრამ არ აკეთებენ, თუ სახელმწიფო სამსახურები არ გაიწმინდა გიგა ბოკერიას ხალხისგან, გივია თარგამაძის ხალხისგან, უარეს ამბებს უნდა ველოდოთ. შეიძლება ესენი ინფორმაციების რაღაც ნაწილს იგონებენ, მაგრამ დიდ ნაწილს სახელმწიფო უწყებებიდან იღებენ, იქიდან ჟონავს. როგორც კი საქართველოში მოისპობა მეხუთე კოლონა, ეგრევე დაწყნარდება სიტუაცია და უფრო მშვიდად იქნება ხელისუფლებაც, უფრო მშვიდად იცხოვრებს საზოგადოება. აღარ იქნება რაღაც მაიმუნობები და თამაშები, ანუ საზოგადოებაზე მანიპულირება.

**— სამი დღის წინ პრემიერ-მინისტრი შეხვდა საპარლამენტო უმრავლესობის წევრებს, სადაც გადაწყდა, რომ უნდა გააქტიურდეს პარტია „ქართული ოცნება“, უნდა გააქტიურდნენ დეპუტატები და რაც მთავარია, ბევრი რამე უნდა დაიწყოს სუფთა ფურცლიდან. როგორ ფიქრობ, ეს შესაძლებელია?**

– ზოგიერთი დეპუტატი ტრაკიდან თუ გააქტიურდება, ჰო, მაგრამ ისე არა მგონია. სხვათა შორის, ჯერ კიდევ არ არის გვიანი, აქამდე რომ გააქტიურებულიყვნენ, უკეთესი იქნებოდა. რა თქმა უნდა, მე მიხარია, თუკი პრემიერ-მინისტრი ამას მიხვდა, მაგრამ ახლა ზვიად ძიძიგური რომ რუსთავში ჩავიდეს, იქაურებს რა უნდა უთხრას, ბოდიში, აქამდე რომ გემალებოდითო? ამათ ხალხის ნდობა დაკარგეს, როდესაც შენს ამომრჩეველთან არ მიდიხარ, არ ელაპარაკები, არ აგვარებ მის პრობლემებს, არ ეხმარები, უნდა იცოდე, რომ იმას შენ მაგრად ჰკიდიხარ. ახლა ამიხსენი, რომც მოინდომონ და ეს ჩვენი მაჟორიტარები რეგიონებში ჩავიდნენ, ხალხს რა უნდა ელაპარაკონ? კითხვებზე პასუხები რანაირად უნდა გასცენ? მე მართლა გული მტკივა, რომ ასე ხდება, ამათ საქმე ისე გაიხადეს, ხალხთან სალაპარაკოც კი არაფერი აქვთ არც ზვიად ძიძიგურს და არც დანარჩენებს, გუბაზ სანიკიძეს კიდევ. აქ



„როგორც კი ხელისუფლებას უჭირს, მაშინვე წინა პლანზე გამოდის ბიძინა ივანიშვილი და იწყებს ლაპარაკს. დღეს რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ და უარვყოთ, ეს ადამიანი არის ხელისუფლებისა და საზოგადოების გენერატორი, მაგრამ ვერ იქნება ცოცხი, რომლითაც „ნაციონალები“ უნდა გახვეტო, ეს საქმე მთავრობის, მინისტრებისა და საზოგადოების გასაკეთებელია“



„ირაკლი ღარიბაშვილს აქვს იმდენი მარიფათი და საშუალება, რომ მარგველაშვილს პასუხი გასცეს, არ არის საჭირო ამდენი ვაზელინწასმული დეპუტატი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებიდან დახმარება. ვითომ ირაკლის პატივისმცემელი დეპუტატები ისე უნდა მოიქცნენ, რომ სიტუაცია განიმუხტოს. ესენი ცეცხლზე ნავთს ასხამენ, არ არის ირაკლი ის კაცი, პასუხი ვერ გასცეს ვინმეს და რამე შეარჩინოს“

ერთი რამეც უნდა ვთქვა: ირაკლი ღარიბაშვილს აქვს იმდენი მარიფათი და საშუალება, რომ მარგველაშვილს პასუხი გასცეს, არ არის საჭირო ამდენი ვაზელინწასმული დეპუტატი და ხელისუფლების სხვადასხვა შტოებიდან დახმარება. ვითომ ირაკლის პატივისმცემელი დეპუტატები ისე უნდა მოიქცნენ, რომ სიტუაცია განიმუხტოს. ესენი ცეცხლზე ნავთს ასხამენ, არ არის ირაკლი ის კაცი, პასუხი ვერ გასცეს ვინმეს და რამე შეარჩინოს.

**— დაბოლოს, როგორ უნდა გაუწიოს საზოგადოებამ „ნაციონალურ“ ფსიქოზს წინააღმდეგობა? თუნდაც ხელისუფლებას დავანებოთ თავი, ამ შემთხვევაში საზოგადოებამაც უნდა გააკეთოს რაღაცა. სხვათა შორის, „ქართული ოცნების“ წევრები უკვე აღიარებენ, რომ თითქმის ყველა ტელევიზია „ნაციონალების“ სამსახურშია.**

– თუკი ჩაკეტავენ იმ საინფორმაციო წყაროებს, რაზეც ზემოთ ვილაპარაკე, „ნაცმოძრაობა“ ველარაფერს ველარ იზამს. ეს ძალა სულდგმულობს აგენტურით, რომელიც ჩანერგილია სხვადასხვა უწყებებში. თუ ეს ნაკადი ჩაიკეტება, ჩათვალე, რომ „ნაცმოძრაობა“ დამთავრებულია. უკვე ორი წელიწადია, საზოგადოება ამას ითხოვს. მე პირადად უკვე აღარ მიკვირს, რაც ხდება. აღარც საზოგადოებას უკვირს. შენც ძალიან კარგად იცი, რაც მოხდა ლალი მოროშკინასთან დაკავშირებით – ადამიანი მივიდა ერთ უწყებაში, გადასცა მასალები და მეორე დღეს ეს ყველაფერი აღმოჩნდა ირმა ნადირაშვილთან. ვერ გავიგე, ეს კარგი გაკვეთილი არ უნდა ყოფილიყო ამ ხელისუფლებისთვის?! თუ არ მიეხედა ამ საქმეს, ქვეყანაში სულ იქნება დესტაბილიზაცია, სულ იტივტივებენ „ნაციონალები“, არ მოგვასვენებენ და ფერნაცვალი დამნაშავეები ისევ მობრუნდებიან ხელისუფლებაში!

**გელა ზედელაშვილი**
555 48-48-61

# „გლობალური კვლევების ცენტრის“ მორიგი საექსპერტო შეხვედრა

„გლობალური კვლევების ცენტრმა“ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თემაზე სემინარი გამართა. სემინარზე მოხსენებით წარდგნენ ექსპერტები მამუკა არეშიძე, ვალერიან გორგილაძე და კახა კახიშვილი. სემინარში მონაწილეობდნენ ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში იოსებ არჩვაძე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ქეთი ამირეჯიბი, „ახალგაზრდა პოლიტოლოგთა კლუბის“ წევრები გიორგი მდივანი და ირაკლი უბილავა.

ექსპერტმა მამუკა არეშიძემ საარჩევნო პერიოდში ეროვნული უმცირესობებისა და რეგიონების შესახებ ისაუბრა. „ადგილობრივი თვითმმართველობის შედეგებით თუ დავიწყებთ, რეგიონებში ვერ მივიღეთ რეალური სურათი, რეგიონების გადამწყვეტ ნაწილში ყოველ შემთხვევაში. შეიძლება, ზოგიერთ რაიონში კი ჩატარდა სრულიად ობიექტურად, ზოგიერთ ნაწილში – არა. რაც შეეხება ეროვნული უმცირესობების დომინანტ რეგიონებს, იქ საერთოდ ძალიან სერიოზული აღრევა იყო. ეს განპირობებული მარტო იმით კი არ იყო, რომ, დავუშვათ, ტოტალურად გააყალბეს, რამდენიმე მექანიზმი იყო გამოყენებული, არა მხოლოდ ადგილობრივი საოლქოს მიერ, არამედ კონკრეტული დეპუტატებიც ჩადიოდნენ იქ. ნინოწმინდაში, გარდაბანში იყო ისეთი მეთოდი გამოყენებული, როგორიც არის კონკრეტული პარტიის ბიულეტენების გაბათილება – იმ ბიულეტენებში, რომლითაც კონკრეტულ პარტიას ჰქონდა წარმატება, ჩნდებოდა დამატებითი აღნიშვნები, რაც ბიულეტენის ბათილობის საბაბი ხდებოდა“.

სოციოლოგმა და პოლიტიკურმა ანალიტიკოსმა ვალერიან გორგილაძემ წარმოადგინა ციფრები, რომლებიც მეტყველებს ამომრჩევლის აქტივობის კლებაზე: „თუ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ამომრჩეველთა 60% გამოცხადდა (2.215.661), საპრეზიდენტო არჩევნებზე 2013 წელს აქტივობა იკლებს 46%-მდე (1.630.875), ხოლო 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ეს მაჩვენებელი 43%-მდე მცირდება (1.485.372). თუ მიცემულ ხმებს გავაანალიზებთ, „ქართულმა ოცნებამ“ 500 ათასი ხმით ნაკლები მიიღო, ვიდრე 2012 წელს. „ნაციონალური მოძრაობის ელექტორალური დანაკარგი კიდევ უფრო დრამატულია – მათი მხარდამჭერების რაოდენობა ბოლო ორ წელიწადში 870 ათასიდან 317 ათასამდე დაეცა. ნინო ბურჯანაძემ შეინარჩუნა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგი (10%), ხოლო პატრიოტთა ალიანსმა 4,7% მიიღო, ასე რომ, მესამე-მეოთხე ადგილებზე ეს ორი პოლიტიკური ძალაა“.

„საარჩევნო და პოლიტიკური ტექნოლოგიების კვლევის ცენტრის“ დირექტორის, კახა კახიშვილის განცხადებით კი, „წელიწადისა და რვა თვის მანძილზე, ამ ხნის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა ამ პარტიების გაძლიერებისთვის. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ არჩევნების შედეგები არ არის დამოკიდებული მხოლოდ აგიტაციაზე, ფინანსური მხარდაჭერა პოლიტიკურ სუბიექტებს არ ჰქონდათ. რეალობა იყო, რომ 9 წლის მანძილზე განადგურებული პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც როგორც მორალურად, ასევე ფინანსურად გაანადგურეს, კონკურენციაში ჰყავდა ხელისუფლებას და ძირითადად ესენი მუშაობდნენ იმ ნიშაში, რომელშიც მუშაობდა „ქართული ოცნება“. აქედან გამომდინარე, ძალიან რთული იყო რეგიონების გადაფარვა. თბილისი თუ იყო კიდევ კონკურენტუნარიანი, რეგიონებში საერთოდ არ იყო კონკურენცია. ის კონკურენცია, რომელსაც შეეძლო, შეეცვალა შედეგი, მით უმეტეს, ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რეგიონებში ძირითადად ყველა ხელისუფლება აკეთებს აქცენტს ადგილობრივ ავტორიტეტებზე და ეს ადგილობრივი ავტორიტეტები ხელისუფლებას იბარებენ ხან ერთი პოლიტიკური პარტიიდან, ხან მეორე პოლიტიკური პარტიიდან, ინარჩუნებენ წესრიგს და სიმშვიდეს რეგიონში, სანაცვლოდ კი იღებენ მწვანე შუქს ბიზნესების განვითარებაში, გავლენის მოპოვებაში და ა.შ. ხვალ რომ აღარ იყოს „ქართული ოცნება“ და სხვა პოლიტიკური სუბიექტი მოვიდეს, ის იძულებული გახდება, ისევ ითანამშრომლოს იმ ადგილობრივ ავტორიტეტებთან, იმიტომ რომ სხვა გზა არ არის. ხოლო შიგნით განვითარება სხვა ავტორიტეტების შეუძლებელია, ვინაიდან თავად ეს ავტორიტეტები არ უწყობენ ხელს სხვების განვითარებას, რომ არ მოხდეს მათი ჩანაცვლება.

„გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელის, ნანა დევდარიანის აღნიშვნით, „მიუხედავად ხარვეზებისა, ეს ადგილობრივი არჩევნები მთლიანობაში პოზიტიურად უნდა შეფასდეს, რადგან მმართველ კოალიციას არ მიუმართავს იმ ძალადობისა და გაყალბებისთვის, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ იყენებდა. გარდა ამისა, უდავოდ პოზიტივია ისიც, რომ პოლიტიკურ მოედანზე ახალი მოთამაშეები გამოჩნდნენ ბურჯანაძის კოალიციისა და პატრიოტთა ალიანსის სახით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საინიციატივო ჯგუფების მიერ წარდგენილმა უპარტიო კანდიდატებმა 130 მანდატი მოიგეს. ეს ყოველივე ამომრჩეველს წაადგება“, – ამბობს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი.

# avtomobilebis dazRveva savaldebulo xdeba!

## რა პირობებს გთავაზობთ და რატომ უნდა აირჩიოთ მძღოლებმა „ალდაგის“ მომსახურება

არც ისე დიდი დრო დარჩენილი იქამდე, სანამ ჩვენს ქვეყანაში ავტომობილების დაზღვევა სავალდებულო გახდება – ამ ეტაპზე უკვე მზადების პროცესშია კანონპროექტი, რომლის დამტკიცების შემდეგაც, 2015 წლიდან ამოქმედდება მესამე პირის წინაშე ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევა. ის, რომ დაზღვევის კულტურა საქართველოში არცთუ მაღალია, სამწუხაროდ, ამის არაერთ მაგალითს შეხვდებით. ფაქტი კი ერთია – დაზღვევას ნებისმიერი ადამიანისთვის უამრავი პრობლემის მოგვარება შეუძლია, იქნება ეს დაკავშირებული ჯანმრთელობასთან თუ უძრავ-მოძრავ ქონებასთან.

როდესაც ადამიანი ამ ყველაფერს აცნობიერებს, დაზღვევას გადაწყვეტს, აქ კიდევ ერთი საკითხი დგება დღის წესრიგში – რომელ კომპანიას უნდა ენდოს, ფაქტი აქაც ერთმნიშვნელოვანია – უნდა აირჩიოთ ის კომპანია, რომელსაც აქვს მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება, არის სტაბილური, ფინანსურად ძლიერი, გამორჩეულია მომხმარებლებთან ურთიერთობის კუთხით და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ ქართულ ბაზარზე უკვე 24 წელია, მუშაობს, არის ყველაზე დიდი, სტაბილური და ფინანსურად მდგრადი კომპანია. მაგალითისთვის რომ ავიღოთ, მხოლოდ 2014 წლის ორი კვარტალის განმავლობაში „ალდაგის“ მიერ ქონებრივი რისკების დაზღვევის ნაწილში, 6 მილიონი ლარის ზარალი აქვს ანაზღაურებული.

**რაც შეეხება ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევას, რას შესთავაზებს „ალდაგი“ პოტენციურ მომხმარებელს, რატომ უნდა აირჩიონ მძღოლებმა სწორედ „ალდაგი“, ზოგადად, რას მოუტანს მათ ეს დაზღვევა, ყველაფერზე ამომწურავად კომპანიის გენერალური დირექტორი, გიორგი ბარათაშვილი საუბრობს:**

– სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“ უკვე 24 წელია, ბაზარზე მუშაობს და დღეისთვის ყველაზე დიდი სადაზღვევო კომპანიაა. 2014 წლის 6 თვის მონაცემებით ავტომფლობელთა მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევაში „ალდაგი“ ბაზრის დაახლოებით 47-პროცენტიან წილს ფლობს. 2013 წლის მანძილზე კი მხოლოდ მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევის მიმართულებით კომპანიას დაახლოებით 1,5 მილიონი ლარის ზარალი აქვს ანაზღაურებული. „ალდაგი“ მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის ნებაყოფლობითი დაზღვევის პროდუქტებს აქტიურად ყიდის და ამ მიმართულებით საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს.

**— თქვენ საუბრობთ ნებაყოფლობით დაზღვევაზე, მომავალი წლიდან კი მძღოლებმა უკვე სავალდებულო დაზღვევა უნდა შეიძინონ.**

– კონკრეტულად ამ სიახლეზე რომ გადავიდეთ, მესამე პირების წინაშე ავტომფლობელთა პასუხისმგებლობის ნებაყოფლობით დაზღვევა ყველა განვითარებულ ქვეყანაში მრავალი წელია არსებობს. დაზღვევის ამ სახეობის გარეშე ქუჩაში ავტომობილი არ მოძრაობს. საქართველოში ამ დაზღვევის სავალდებულოდ შემოტანა წინგადადგმული ნაბიჯია ევროპისკენ. შესაბამისად, როდესაც საუბარია მესამე პირების პასუხისმგებლობის დაზღვევაზე ეს ქვეყანას საიმედოობას მატებს და ასევე გარკვეული სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელიცაა, რადგანაც ყველა მოქალაქე დაზღვეული იქნება ამა თუ იმ მოულოდნელობისგან.

**— რატომ, რა პლუსები აქვს დაზღვევის ამ სახეობას?**

– დადებითი მხარე უამრავია! ერთი, რომ საიმედოობას ჰმატებს ქვეყანას – მეორე – ჩვენს მოქალაქეებს მისცემს იმის საშუალებას, რომ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მისი ზარალი სრულად ანაზღაურდება და შესაბამისად, ამ შემთხვევაში, ავტომფლობელები დაზღვეულად იგრძნობენ თავს.

**— სამწუხაროდ, სიახლეს პროტესტი მოჰყვა და ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიც არის, რომ ავტომფლობელებს დამატებითი ხარჯის გაღება მოუწევთ.**

– პირველ რიგში, ეს დაზღვევა ხელმისაწვდომი უნდა იყოს მოსახლეობისთვის. „ალდაგი“ აქტიურად არის ჩართული დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურთან ერთად, რათა კანონპროექტი ისე შემუშავდეს და იყოს ისეთი მოქნილი, რომ საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს მაქსიმალურად მოერგოს. ეს იმას ნიშნავს, რომ პროცედურები უნდა იყოს მარტივი, ანაზღაურების სქემა უნდა იყოს მარტივი და რაღა თქმა უნდა, ხელმისაწვდომი. ჩვენ, როგორც ინოვატორი, სადაზღვევო ბაზარზე ახალი პროდუქტების დამნერგავი კომპანია, მაქსიმალურად ვცდილობთ, რომ ის კომპონენტები, რომლებიც ევროპულ ანალოგებშია გათვალისწინებული, საქართველოზე იყოს მორგებული. ამ პროექტიდან, რომელიც 2015 წლიდან ამოქმედდება, ხალხმა სარგებელი უნდა დაინახოს. გარდა ამისა, ეს სიახლე ხელს შეუწყობს სადაზღვევო ბაზრის განვითარებას. არასიცოცხლის დაზღვევის მიმართულებით ხელშეწყობა და განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია. შესაბამისად, მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა არის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც აქტიურად შეუწყობს ხელს კომპანიების განვითარებას და დაზღვევის კულტურის დანერგვას ქვეყანაში.



**— „ალდაგი“ იქნება ერთ-ერთი კომპანია, რომელიც სავალდებულო დაზღვევის შეძენისას მომხმარებელმა უნდა აირჩიოს. რატომ უნდა შეაჩეროს არჩევანი მძღოლმა სწორედ „ალდაგზე“?**

– ჩვეულებრივ, ჩვენი მომხმარებლისთვის მთავარი ამოსავალი წერტილი, რასაც „ალდაგი“ სთავაზობს, არის სტაბილურობა, ბაზარზე მუშაობის 24-წლიანი გამოცდილება. როცა ვსაუბრობთ ავტომობილის დაზღვევაზე და უნდა გადავწყვიტოთ, რომელი მზღვეველი ავირჩიოთ, მთავარია სტაბილურობა – დარწმუნებულები უნდა ვიყოთ, ხვალ, ზეგ, მაზეგ, როცა ზარალი მომივა, იქნება თუ არა კომპანია ბაზარზე და შეძლებს თუ არა ის ამ ზარალის ანაზღაურებას.

**— ტარიფების შესახებ ინფორმაციას თუ ფლობთ?**

– რაც შეეხება ტარიფს სავალდებულო სახეობაში, ყველაფერი განსაზღვრული იქნება კანონით. შესაბამისად, ყველა მზღვეველს, რომელიც პროგრამაში ჩაერთვება, სტანდარტული პროდუქტი ექნება. არჩევანი მოქალაქემ უნდა გააკეთოს მხოლოდ იმაზე, რამდენად სტაბილურია კომპანია და გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ კომპანიის სასარგებლოდ, რომელიც არ არის შექმნილი მხოლოდ ამ პროექტისთვის. ასევე, აუცილებლად უნდა გადახედოს მის წარსულ გამოცდილებას თუნდაც ავტომობილების, მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევაში, ვგულისხმობ ნებაყოფლობით სახეობას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. ვიმეორებ, პირობები ამ შემთხვევაში იქნება სტანდარტული ერთი დღის შექმნილი კომპანიისთვისაც და 24-წლიანი კომპანიისთვისაც.

მთავარი, რასაც მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს, ეს არის სტაბილურობა. ზოგადად, ეს დაზღვევა არ უნდა იყოს აღქმული ისე, რომ თითქოს საქმე გვაქვს რაღაც სავალდებულო ნაბიჯთან. მომხმარებელმა აუცილებლად უნდა დაინახოს ის სარგებელი, რასაც მას დაზღვევა მოუტანს.

ერთ მომენტს მინდა ხაზი გავუსვა: რა არის ზოგადად, დაზღვევა – შემთხვევითობისგან დაზღვეული არავინ ვართ. აქედან გამომდინარე, დაზღვევა არის რისკის მართვა, როცა ადამიანი გადასცემს თავის შესაძლო რისკს სადაზღვევო კომპანიას. თავის მხრივ, სადაზღვევო კომპანია ქმნის პორტფელს და მართავს მას. ბუნებრივია, ვიღაცას მოუვა ზარალი, ვიღაცას – არა.

**— ბატონო გიორგი, რა მომსახურებას მიიღებენ მძღოლები სავალდებულო დაზღვევის შეძენის შემდეგ?**

– როგორც უკვე აღვნიშნე, ტარიფი იქნება კანონის მიერ დადგენილი. ჯერჯერობით არ ვიცით, რა ტარიფი დამტკიცდება, რადგან სულ რაღაც ერთი თვის წინ შეიკრა აქტუართა გუნდი და დაზღვევის ყველა ტარიფის გამოყვანაში აუცილებელია აქტუართა გათვლები და გაანგარიშება. კერძოდ, აქტუარები სხედან, სტატისტიკას უყურებენ და ამ სტატისტიკის საფუძველსა და ალბათობებზე, შემთხვევების რაოდენობიდან გამომდინარე დებენ ტარიფს. სიმართლე გითხრათ, თავადაც ძალიან მაინტერესებს, როგორი შედეგი იქნება, რადგან ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია.

რაც შეეხება თქვენს კითხვაზე პასუხს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას 24 საათის განმავლობაში ჩვენს მომხმარებელს საშუალება ექნება, დაუკავშირდეს „ალდაგის“ ცხელ ხაზს, რასაც მოჰყვება მყისიერი რეაგირება, მოხდება ადგილზე მობილური ჯგუფის გასვლა, სადაც ბოლომდე ვიქნებით ჩართულები პროცესში, ბოლომდე მოხდება დაზარალებულის დოკუმენტურად დახმარება – დავეხმარებით დოკუმენტაციის მოძიება-ამოღებაში და რაც მთავარია, გადავამისამართებთ დაზიანებულ ავტომობილს პროვაიდერთან, სადაც მოხდება მისი შეკეთება. აქედან გამომდინარე, დაზღვეულს მოხსნილი ექნება ყველა პრობლემა. ზუსტად ასე ხდება მთელ მსოფლიოში, განვითარებულ ქვეყნებში, სადაც, თუ მანქანა დაზღვეული არ არის, მისი პატრონი ქუჩაში არ გადის. უცხოელიც, რომელიც საქართველოში ჩამოდის, აუცილებლად ინტერესდება, არის თუ არა დაზღვეული ავტომობილი, თანაც პირველ რიგში კითხულობს იმას, არის თუ არა დაზღვეული მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობა და არა იმას, დაზღვეულია თუ არა მანქანის ძარა, რადგან მას იმის შიში აქვს, თუ სხვას დაეჯახება, დაიფაროს ფინანსური ზარალი და თავიდან აიცილოს ყველა ის უსიამოვნო პროცედურა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევას მოჰყვება ხოლმე. რაც ყველაზე მთავარია, ამ მიმართულებით მუშაობის ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს, რაც დამეთანხმებით, ძალიან მნიშვნელოვანია.

ამ დაზღვევით, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ, განვიხილეთ მხოლოდ ქონების ზარალი, თუმცა ასევე იფარება მესამე პირების წინაშე მიყენებული ჯანმრთელობის ზიანიც. ანუ ღმერთმა დაიფაროს და თუ ჩვენი დაზღვეული დაეჯახება ფეხით მოსიარულეს, ამ ზარალსაც აანაზღაურებს მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევა.

**— ბატონო გიორგი, ჩვეულებრივ, როცა საქმე ჯანმრთელობის დაზღვევას ეხება, კორპორაციულ დაზღვევაზე უფრო მეტი ბენეფიტები აქვთ მომხმარებლებს, ვიდრე ინდივიდუალური დაზღვევის შემთხვევაში. იგივე პრინციპი იმოქმედებს მესამე პირთა წინაშე პასუხისმგებლობის დაზღვევაზეც?**

– არა, ამ შემთხვევაში ნებისმიერი ავტომფლობელისთვის, სახელმწიფო ორგანიზაცია იქნება ეს, იურიდიული თუ კერძო პირი, ყველას ერთნაირი პირობები ექნება, რასაც განსაზღვრავს კანონი და მთავრობის დადგენილება – იქნება ერთი ლიმიტი, იქნება ერთი დაფარვა, თუმცა მომხმარებელს, თუ თავად მოინდომებს და გადაწყვეტს, რომ ეს დაფარვა არ ჰყოფნის, შეძლებს ლიმიტის აწევას, პაკეტის გაუმჯობესებას, მაგრამ რამდენადაც ვიცი, საუბარია საკმაოდ ვრცელ დაფარვაზე.

*მიხეილ სახვაძე*

# რა კავშირი აქვს პარლამენტარ შოთა შავგულიძეს „სუბოტექსზე“ დაკავებულ ერისთავთან?



**„ალიას“ უფლებადამცველი დიმა ლორთქიფანიძე ესაუბრა:**

**— ბატონო დიმა, ბოლო ხანს უფლებადამცველები ჩივიან, რომ უკანონო დაკავებებმა იმატა. კარგა ხანია, არ გვსმენია ნარკოტიკის ჩადების ფაქტების შესახებ, ბოლო დროს კი ამან წამოიწია. რატომ?**

– ამას საფუძველი და მიზეზი გააჩნია. პირველ რიგში, დღევანდელი შსს-ს სისხლის სამართლის სამძებრო სამსახური, კრიმინალური პოლიცია დაკომპლექტებულია ძირითადად ძველი თანამშრომლებით, რომელთაც გარკვეული პოზიციები და ვალდებულებები აქვთ ძველი ხელისუფლების მიმართ. ეს ფაქტია, რადგან ყველა ის მნიშვნელოვანი საქმე, რომელიც გამოუძიებელი დარჩა და ის საქმეები, რომლებიც არც გახმაურებულა, არის ერთგვარი ორციელოს პრესინგი. ამ პრესინგს ეწირებიან უდანაშაულო ადამიანებიც და სამწუხაროდ, მიზნის მიღწევის საშუალებად იქცა კვლავ იარაღის ან ნარკოტიკის ჩადება. რეიდებს შეიძლება ჰქონდეს პრევენციული დატვირთვა, მაგრამ ის, რომ უდანაშაულო ადამიანს აღუკვეთო თავისუფლება, მიაყენო შეურაცხყოფა, ეს არ არის პრევენცია.

დღის მანძილზე იმდენი დაკავება ხდება, როგორი ლეგიტიმური მიზნის საშუალებადაც არ უნდა გვევლინებოდეს ის, ეს დანაშაულია. თუ 10 ადამიანიდან ერთი არის პოტენციური დამნაშავე, გამოდის, რომ ამ პოტენციური დამნაშავის დაჭერას უნდა შევწიროთ 9 ადამიანი? მეტსაც გეტყვით, ოპერატიულ თათბირებზე მითითება ეძლევათ თანამშრომლებს, ხელი არ აუკანკალდეთ, ისე დააკავონ. ამას ვანო მერაბიშვილი მაკომპრომეტირებელი მასალა, რომელსაც ფლობს „ნაციონალური მოძრაობა“ აღნიშნული პოლიციელების მხრიდან. თავად ის ფაქტი, რომ ლექსო ჭიკაიძე გახლდათ ყოფილი თანამშრომელი, რომელიც ვანო მერაბიშვილის უწყებას იყო დაქვემდებარებული, რა თქმა უნდა, ბუნებრივად ბადებს კითხვას, რა კავშირ-ურთიერთობები შეიძლება იყოს ისეთი, რაც კულუარებში დარჩებოდა და არ იქნებოდა გამომზეურებული.

**— ამას ხაზს რატომ უსვამთ, ჭიკაიძის სანდოობაში ეჭვი გეპარებათ?**

– ამ შემთხვევაში არ ვადანაშაულებ რამეში ჭიკაიძეს, თუმცა მისი დაქვემდებარებული უწყება ძალიან სცოდავს, როცა ახალგაზრდობის წინააღმდეგ იყენებს რეპრესიებს. დღე არ გაივლის, რომ რეპრესია არ განხორციელდეს ამა თუ იმ უბანში. ამას წინათ ჩემი უბნიდანაც წაიყვანეს ახალგაზრდები და უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება. „ნაციონალებისგან“ დავალებული ეს ძალა ძალიან აქტიურად მოქმედებს. მეორე მხრივ, ჭიკაიძე ცდილობს, პოლიტიკური სადავეები არ გაექცეს ხელიდან, ამიტომ ის, როგორც პოლიტიკურად პასუხისმგებელი პირი კრიმოგენური ვითარების დარეგულირებაზე, იღებს უპრეცედენტო გადაწყვეტილებას, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე განახპარლამენტის ტრიბუნიდან ამბობდა, ახლა კი ოპერატიულ თათბირებზე გასცემენ დავალებებს. ასეც იქცევიან, შეუძლიათ 5, 6, 7 ადამიანის აყვანა ქუჩიდან.

**— თუ არაფერ შუაშია, ხომ უშვებენ?**

– როგორც უფლებადამცველს, ხშირად მაწვდიან ინფორმაციას, რა ხდება, როცა აკავებენ. დაკავებულთა მშობლები მეუბნებიან, რომ მიმდინარეობს ძალიან უხეში ფიზიკური ფორმით ანგარიშსწორება.

შემიძლია გითხრათ ერთი ფაქტი. ვესწრებოდი ლაშა მახარაძის საქმის გარემოებებიდან დაკავებული კიდევ ერთი პატიმრის, ერისთავის მხარდასაჭერად გამართულ აქციას. როგორც ოჯახის წევრები ამბობენ, მას ჩაუდეს ნარკოტიკული საშუალება, რომ შემდგომში მერე მიზნისთვის მიეღწიათ. რა მიზანს ემსახურებოდა ნარკოტიკების ჩადება, სულ მალე გახდება ცნობილი, მაგრამ მე შემიძლია კულუარულად გაგანდოთ ერთი რამ: როგორც მე შევიტყვე, პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის, შალვა შავგულიძისთვის ცნობილი იყო ერისთავის დაკავებამდე, რომ მას ნარკოტიკს ჩაუდებდნენ. თავად ერისთავს გაუგებინებია მისთვის, რომ მასზე ზეწოლას აპირებდნენ ამ ფორმით, მოხარული ვიქნები, თუ ბატონო შალვა ამასთან დაკავშირებით გააკეთებს განმარტებას, რატომ არ მიიღო ზომები, როცა მას განუცხადეს, რომ მსგავსი ტიპის „ჩადებებს“ არ აქვს ადგილი ახალი ხელისუფლების პირობებში. ახლა მან ან უნდა დაადასტუროს, ან უარყოს ეს ბრალდება. თუ ეს დადასტურდა, გამოდის, რომ განხორციელებულია უკანონო ქმედებების კასკადი.

**— კი, მაგრამ, როგორც ვიცით, პოლიციის თითქმის მთელი შემადგენლობა გადაამზადეს, კურსები გაიარეს და არ შეუძლიათ, კანონის ჩარჩოებში იმოქმედონ?**

– ამის ობიექტური მიზეზია ის, რომ უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის ამნისტია განხორციელდა, ბევრი მათგანი უკანონო და უფლებაშელახული პატიმარი იყო. ფაქტია, რომ ამას კრიმინოგენური ვითარების გამწვავება მოჰყვებოდა. ამნისტირებული პატიმარი დიდი რისკია ყველა ქვეყანაში. ობიექტური გარემოებაა ის, რომ ახალგაზრდობა არის დაუსაქმებელი, ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. ამას ემატება ჯერ კიდევ ვერმიღებული რეგულაციები და ა.შ.

**— მაშინ საჭირო ყოფილა ეს პრევენციული ღონისძიებები.**

– დიახ, საჭიროა, მაგრამ არა ასე დილეტანტურად განხორციელებული. საქმე გვაქვს ისეთ ოპერმუშაკებთან და მათ ხელმძღვანელებთან, რომელთაც ან მოუძველდათ მეთოდები კრიმინალთან ბრძოლის, ან შეგნებულად ეწევიან ამ ტიპის მოქმედებებს. ეს იწვევს მოსახლეობის აგრესიას და ქმნის სახიფათო ფონს. არ ხორციელდება ინსტიტუციონალური ბრძოლა დანაშაულის წინააღმდეგ, ეს არის ინდივიდუალური სახის.

**— რას გულისხმობთ?**

– რა ხასიათზეც იქნებიან კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები, იმ განწყობით ხდება ნებისმიერი ტიპის კრიმინალის შეჩერება და გამოვლენა.

**— თქვით, უკანონობებს „ნაციონალებისგან“ დავალებული პოლიციელები სჩადიანო. მათი გამოვლენა რთული არ უნდა იყოს, გამოვიდნენ და თქვან, სისტემაში „საბოტაჟნიკები“ აღმოვაჩინეთ, რომლებიც უკანონობებს შეგნებულად სჩადიოდნენო. ამის გაკეთება ხომ შეუძლიათ?**

– ეს თემა აუცილებლად უნდა გახდეს შესწავლის საგანი. როცა ვამბობთ, რომ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის ფაქტები არსებობს ციხეებში, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სანამ პირი იქ მოხვდებოდა, ის საგამოძიებო ორგანოებთან ურთიერთობის მძიმე გზას გადიოდა, სადაც ხდებოდა ეს წამება. გაგახსენებთ, რომ ახალი ხელისუფლების შეცვლისთანავე ციხეებში ძველი დირექტორები ახლით შეიცვალა. რუსთავის მე-16 დაწესებულებაში შევიდა აბურჯანია. მის დანიშვნას მოჰყვა მღელვარება და რატომ? ამ ზონაში მყოფი პატიმრების აბსოლუტური უმრავლესობა მას კარგად იცნობდა, როგორც მწამებელს ნაძალადევში. რამდენიმე ასეული აბურჯანია არის დღეს ძალოვან სტრუქტურებში, მოვუწოდებ ხელისუფლებას, ჭიკაიძეს, გაასუფთაოს ასეთი წარსულის მქონე პოლიციელებისგან სტრუქტურა, თორემ სულ იქნება ხალხისგან უკმაყოფილება და ეს უკმაყოფილება პიკსაც მიაღწევს. ბევრი კრიმინალი პოლიციელია კრიმინალურ პოლიციაში და აქედან უნდა დაიწყონ გასუფთავება. მერაბიშვილი მათთვის არაფერს იშურებდა, ისინი დავალებულებიც არიან მის წინაშე და დღეს ისინი, მათი ოჯახის წევრები უზრუნველყოფენ „ნაციონალებისთვის“ საჭირო შედეგს. დღეს პოლიციელების უმრავლესობას მოაკლდა სასათბურე პირობები და პირადმა განწყობებმა იფეთქა ისე, რომ „ნაციონალების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

**„ალია“ პარლამენტარ შოთა შავგულიძესთან დაკავშირებას შეეცადა. გვაინტერესებდა, თუკი ინფორმირებული იყო, რომ ერისთავი წამლის ჩადებით უნდა დაეკავებინათ, რატომ არაფერი მოიმოქმედა? მისი ტელეფონი გამორთული აღმოჩნდა და როგორც პარლამენტის აპარატში განგვიცხადეს, ის უცხოეთში იმყოფება.**

ჟანა ასანიძე
558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შსს-მ თაღლითური დაჯგუფება გამოავლინა



შსს-ს ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა, ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, თაღლითობის ფაქტზე ბრალი წარუდგინეს 12 პირს: 1979 წელს დაბადებული გიორგი მ., 1969 წელს დაბადებული გიორგი კ., 1969 წელს დაბადებული მერაბ მ., 1956 წელს დაბადებული გია კ., 1969 წელს დაბადებული გიორგი კ., 1954 წელს დაბადებული თამაზ ბ., 1960 წელს დაბადებული ანა ბ., 1960 წელს დაბადებული ზაქარია ფ., 1957 წელს დაბადებული ნანი ბ., 1962 წელს დაბადებული ჯიმშერ რ., 1951 წელს დაბადებული კონსტანტინე კ. და 1951 წელს დაბადებული ნუგზარ ბ, ხოლო იგივე ბრალდებით 1979 წელს დაბადებული სოსო გ. დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულებმა 2013-2014 წლებში მონახეს მათთვის სანდო პირები, რომელთა სახელზეც ფორმალურად გააფორმეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთები და შეადგინეს მათი ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული აქტების თანახმად, ნაკვეთები ნდობით აღჭურვილ პირებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციის მიერ საკუთრებაში 1997 წელს გადაეცათ. ბრალდებულებმა ყალბი მიღება-ჩაბარების აქტები საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარადგინეს, ხოლო შემდეგ თითოეულ მათგანზე დარეგისტრირდა 600-600 კვადრატული მეტრი ფართობის მიწის ნაკვეთები, რომლებიც შემდგომ სხვა პირებზე გაასხვისეს. სახელმწიფოსთვის მიყენებულმა ზარალმა, საერთო ჯამში, 597 000 ლარი შეადგინა. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## გადასახადებისგან თავის არიდების გამო 2 პირი დააკავეს




ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა რამდენიმე შპს-ს დამფუძნებლები, მოქალაქეები გივი ბურჯანაძე და ზაზა ბურჯანაძე დააკავა.

ბრალდებულებმა საბაჟო გადასახადისთვის დაწესებული 5-დღიანი საშეღავათო პერიოდის ბოროტად გამოყენება განიზრახეს. მათ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, 4 სხვადასხვა კომპანია დაარეგისტრირეს და საქართველოში შემოიტანეს 573 121 ლარის ღირებულების ნავთობის მასალა „ბიტუმი“, ასევე საკვები პროდუქტი ქიშმიში და ფინიკი. ამ ხერხით პროდუქციის განბაჟების შემდეგ ბრალდებულებმა თავი აარიდეს იმპორტის გადასახადებს, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს განსაკუთრებით დიდი ოდენობის, 136 566 ლარის ზიანი მიადგა.

გამოძიება გრძელდება სისხლის სამართლის კოდექსის 185-ე მუხლით, რაც თავისუფლების აღკვეთას 4-დან 6 წლამდე ვადით ითვალისწინებს. (ნიუპოსტი)

# ვალერი გელბახიანი: „მარგველაშვილის სახით, ცეცხლს ეთამაშებიან!..“

## ბერკეტები, რომლითაც პრეზიდენტს მოწინააღმდეგეების განეიტრალება შეუძლია



**პოლიტიკური პროცესი ჩიხშია, ქვეყანას აქვს ორი პარლამენტი — ქუთაისსა და თბილისში, არსებობს უშიშროების ორი საბჭო და რაც მთავარია, ერთ გუნდად მოსული ხელისუფლება ორი დაპირისპირებულ ბანაკად გაიყო. რა არის გამოსავალი? პოლიტიკური პროცესების როგორ განვითარებას უნდა ველოდოთ?**

**ამ და სხვა მნიშვნელოვან კითხვებს „ალიას“ იურისტი ვალერი გელბახიანი პასუხობს, რომელიც პროგნოზებში თითქმის არ ცდება:**

**— არის თუ არა საშიშროება, რომ ქვეყანაში ორხელისუფლებიანობა გაჩნდეს და თვლით თუ არა, რომ სახელისუფლებო კრიზისის ნიშნები სახეზეა?**

– ბალანსი რომ დავიცვათ, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ პროცესის ნეგატიური და პოზიტიური მხარეები. თუ ამ პროცესს პოზიტიური კუთხით შევხედავთ, მაშინ ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესთან გვაქვს საქმე, რადგან არის კონკურენცია. თუ სახელმწიფოში ოპონენტი მარტო ის ძალა უნდა იყოს, რომელიც აღიარებულია დამნაშავე ძალად, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში ოპოზიცია არ გვყოლია. ასეთი ოპოზიციის ყოლას, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, ჯობია, ჯანსაღი ოპოზიცია იყოს ხელისუფლების შტოებში. თუ ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ დემოკრატიული პროცესი დაიწყო ქვეყანაში, კოალიცია აღარ არის ერთპოლუსიანი, რადგან ჩნდება ხელისუფლების წიაღში მეორე პოლუსი, ეს არის ქვეყნისთვის და დემოკრატიის განვითარებისთვის ჯანსაღი პროცესი. ახლა შევხედოთ ამ ყველაფერს ნეგატიური კუთხით. სამწუხაროდ, რაც ხდება, ეს არ არის პოლიტიკური კონკურენცია, ეს არის პიროვნული ჩხუბი, რომელიც წარმოშობილია მხოლოდ და მხოლოდ ამბიციების გამო და ეს კონკურენცია ქვეყნისთვის სასარგებლო საქმეს არ აკეთებს. პიროვნულ ფაქტორებზე აგებული პროცესი, ყოველთვის მარცხით სრულდება, ეს დააზარალებს ქვეყნის იმიჯს. ახლა ჩვენ გაეროში არც მეტი, არც ნაკლები, დაგვცინიან იმის გამო, რაც მოხდა.

**— მაია ფანჯიკიძე, რომელმაც ვერ უზრუნველყო საკითხის დარეგულირება, გადაყვება ამ სკანდალს?**

– ფანჯიკიძე დასასჯელია, მიუხედავად იმისა, რომ პიროვნულად ფანჯიკიძისადმი არანაირი პრეტენზია არ გამაჩნია. იმ განცხადებების გამო, რომელიც მისმა სამინისტრომ გააკეთა, მინისტრი გადასაყენებელია თავის მოადგილეებიანად. კერძოდ, გაკეთდა განცხადება, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო არ ემსახურება პრეზიდენტს საერთაშორისო ურთიერთობებში, არც ვიზიტებს და არც მის ურთიერთობებს. სწორედ ამ განცხადების გამო უნდა დაისაჯონ და აი, რატომ? სწორედ საგარეო საქმეთა სამინისტრო არის უწყება, რომელიც საერთაშორისო დიპლომატიურ ურთიერთობებს ამყარებს სამყაროსთან. კონსტიტუციით საქართველოს ქვეყნის გარეთ წარმოადგენს პრეზიდენტი. როდესაც პრეზიდენტის ვიზიტს არ ამზადებს საგარეო საქმეთა სამინისტრო, მეტიც, მის ვიზიტს ხელს უშლის, ეს ნიშნავს, რომ ეს უწყება ეწევა პოლიტიკურ დივერსიას, ხოლო იმ უწყების ხელმძღვანელი, რომელიც პოლიტიკურ დივერსიას აწყობს, უნდა დაისაჯოს, მინიმუმ თანამდებობიდან განთავისუფლებით.

**— ფიქრობთ, რომ ფანჯიკიძე ამ სკანდალს შეეწირება?**

– ეს აუცილებლად მოხდება, მაგრამ არა ახლა... ის მხოლოდ ამ კონკრეტული მიზეზის გამო კი არ არის მოსახსნელი, არამედ თავისი საქმიანობის გამო, მაგრამ ახლა მას არ გაათავისუფლებენ, რადგან ფანჯიკიძემ ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი, ამიტომ მას კონიუნქტურა შეიფარებს. თუმცა, მოვა დრო და ფანჯიკიძეს ამის გამო პასუხს აგებინებენ. გამოდის, ევროინტეგრაციის მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი და საქართველოს პრეზიდენტს უწყობს ქუჩურ გარჩევას. მე არ ვიცი, ეს არის საქმის ქურდული გარჩევა თუ ჭკუის სწავლება, უბრალოდ მაინტერესებს, ვინ მისცა მინისტრს, თანაც ევროინტეგრაციის მინისტრს იმის უფლება, რომ პრეზიდენტს ამ ტონალობაში ელაპარაკოს...





პეტრიაშვილი სწორედ პასუხისმგებელია საერთაშორისო ურთიერთობებში, პრეზიდენტის ყველანაირ კავშირზე. ამ დროს ეს ადამიანი გამოდის და საპრეზიდენტო ინსტიტუტის სრულ დისკრედიტაციას ეწევა. ასეთი მინისტრი აზიანებს ქვეყნის ინტერესებს. როგორც მოქალაქეს, მარცხვენს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ, მაგრამ მას მფარველობს ხელისუფლება იმიტომ, რომ მარგველაშვილის ბოსტანში ისვრის ქვებს.

**— თუმცა, პრეზიდენტმა ალასანია მის ერთგულ მინისტრად მოიხსენია, ალასანიაც პრეზიდენტს უდასტურებს პატივისცემას ღიად და საჯაროდ. საკვირველი ისაა, რომ მისი გუნდის წევრი პეტრიაშვილი ყველაზე გამალებით ებრძვის მარგველაშვილს. რატომ?**

– ალასანია თამაშობს ბალანსის პოლიტიკას, მას პრეზიდენტთან შეთქმულება რომ არ დაჰბრალდეს. დააკვირდით წულუკიანის განცხადებებს, არც ის აკლებს მარგველაშვილს. ვიღაცას რომ საბაბი არ მიეცეს ღარიბაშვილისა და ივანიშვილის გუნდში, რომ ალასანია მოღალატეა და უნდა დაისაჯოს, ამიტომ აყვირებს თავისი გუნდის წევრებს. ალასანიას დასჯა გაცილებით ადვილია, ვიდრე პრეზიდენტის, მით უფრო, რომ მასზე არსებობს კომპრომატები, ტყუილად არ შეამოწმა აუდიტის სამსახურმა თავდაცვის სამინისტრო და თუკი ის დამოუკიდებელ თამაშს წამოიწყებს, მას არა მარტო მინისტრის პორტფელს დაატოვებინებენ, არამედ შეიძლება ციხეში აღმოჩნდეს იმ დარღვევების გამო, რაც უკავშირდება სამინისტროში ჩატარებულ ტენდერებს. ღარიბაშვილს ხვალვე შეუძლია გაათავისუფლოს ირაკლი ალასანია, მაგრამ ამას ჯერ არ გააკეთებს. ალასანიაც შეხედეთ, როგორ იქცევა, არც მწვადს წვავს და არც შამფურს...

ახლა მთავარი, რაზე ითვლება პოლიტიკა? პოლიტიკა ითვლება იმ ორიენტაციაზე, რომელიც სახელმწიფოს აქვს არჩეული საგარეო ურთიერთობებში. თუ ჩვენი პოლიტიკა გათვლილია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებთან უნდა გვქონდეს მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთობა და მან უნდა უზრუნველყოს ჩვენი უსაფრთხოება, მაშინ ეს კურსი უნდა იყოს აბსოლუტურად გაცხადებული, გამჭვირვალე და სანდო შტატებისთვის. ჩემი ინფორმაციით, ამერიკის შეერთებული შტატების მკვეთრი პოზიცია მთლიანად საქართველოს ხელისუფლების მიმართ არ არსებობს, არსებობს რაღაც კონკრეტული ჯგუფების მიმართ სიმპათიები, ხოლო დანარჩენ მთავრობასთან ფორ-

*გაგრძელება მე-8 გვერდზე*

# მინდია ქაშიბაძე ბადაშვილის პროკურატურას უმოქმედობაში ადანაშაულებს და ჭუტა წერეთლის პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს

ადვოკატმა პაატა სალიამ გამართულ პრესკონფერენციაზე კატეგორიულად მოითხოვა მთავარი პროკურატურისგან, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ბიზნესმენის მინდია ქაშიბაძის საქმის სასწრაფოდ გამოძიება. „მინდია ქაშიბაძე იყო პირველი ქართული ლეპტოპების მწარმოებელი კომპანია „მაქსტოპის“ მფლობელი. 2010 წელს მასზე ფიზიკური ზეწოლა განხორციელდა. მინდია ქაშიბაძე ავთო (ჭუტა) წერეთელმა ბრტყელტუჩას გამოყენებით კაბინეტში აწამა. ქაშიბაძე აიძულეს, რომ ბიზნესში საკუთარი წილები დაეთმო. 2010 წელს მინდია ქაშიბაძემ საქართველო დატოვა და ჩეხეთს შეაფარა თავი. სადაც 2 წლის განმავლობაში ის საპყრობილეში იჯდა“, – განაცხადა ადვოკატმა.

სალიას თქმით, ქართულმა მხარემ ჩეხეთს ქაშიბაძის ექსტრადაციის მოთხოვნით 5-ჯერ მიმართა, თუმცა ყოველთვის უარი მიიღო, რადგან ჩეხეთის სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოში ვერ იქნება უზრუნველყოფილი ქაშიბაძისთვის სამართლიანი სასამართლოს უფლება და ასევე, მის სიცოცხლეს შესაძლოა, საფრთხე დაემუქროს. ამასთანავე, როგორც ადვოკატი აცხადებს, ხელისუფლების ცვლილებისთანავე ქაშიბაძემ საქმის გამოძიების მოთხოვნით 2012 წლის ნოემბერში პროკურატურას მიმართა, თუმცა საგამოძიებო უწყების მიერ დღემდე დაკითხული არავინაა. ადვოკატის თქმით, წერეთლის მიერ წინა ხელისუფლების პერიოდში შეტანილი განცხადების საფუძველზე, პროკურატურა ახლაც აგრძელებს ტრადიციას და ჩეხეთის რესპუბლიკას ქაშიბაძის ექსტრადირებას სთხოვს, თუმცა პრაღის სასამართლო ქართულ მხარეს კვლავ უარს ეუბნება. „არ გვინდა ვიფიქროთ, რომ ჭუტა წერეთელს კვლავ აქვს პროკურატურაზე გავლენა. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარია ქართული მხარის მიერ ჩეხეთში ქაშიბაძის ექსტრადაციის შესახებ გაგზავნილი მოთხოვნები“, – განაცხადა სალიამ. პრესკონფერენციაზე „სკაიპის“ საშუალებით ჩეხეთიდან მინდია ქაშიბაძე ჩაერთო, რომელმაც დაწვრილებით ისაუბრა იმ გარემოებებზე, რომლებიც, მის წინააღმდეგ ბიზნესმენმა ავთო (ჭუტა) წერეთელმა განახორციელა. ქაშიბაძე ამბობს, რომ წინა მთავრობისა და წერეთლის მიერ შეთითხნილი საქმის გამო ემიგრაციაში იმყოფება და 2 წელი ჩეხეთში საპყრობილეშიც გაატარა.

„როცა მთავრობა შეიცვალა, პროკურატურაში განცხადება შევიტანე, თუმცა მათი მხრიდან რეაგირება არ ყოფილა. შემდეგ პრესკონფერენცია გავმართეთ და პრემიერ-მინისტრს მივმართეთ და მხოლოდ ამის შემდეგ „სკაიპის“ მეშვეობით პროკურატურამ გამომკითხა, თუმცა გასულია 3 თვეზე მეტი და ამ საქმეზე ისევ არაფერი ისმის“, – განაცხადა ქაშიბაძემ. ბიზნესმენი მოითხოვს, პროკურატურამ, ბოლოს და ბოლოს, დაიწყოს მისი საქმის გამოძიება და პასუხისგებაში მისცენ კრიმინალური გარჩევებისა და დევნის ავტორები – წერეთელი და მისი ხელშემწყობები.

*თამარ კახაბრიშვილი*



CIAN MAGENTA YELLOW BLACK



*მეშვიდე გვერდიდან*

მალური ურთიერთობები. ეს სიმპათია იხრება ალასანია-მარგველაშვილის მხარეს, ეს ნიშნავს, რომ აშშ შეეცდება მარგველაშვილ-ალასანიას ჯგუფი პოლიტიკურად გააძლიეროს და შემდგომში ხელისუფლება მათზე გადაანაწილოს. ნდობის მანდატი ახლა დევს ალასანია-მარგველაშვილის სასწორზე, ეს აშკარად ჩანს ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციიდან. ამ პროცესში კი მოიგებს ის, ვინც სწორად ითამაშებს, კერძოდ, თუ პოლიტიკურ პროცესში გადავა მარგველაშვილის და ღარიბაშვილის დაპირისპირება, რაც დღეს მხოლოდ პიროვნული დაპირისპირებაა, მაშინ მარგველაშვილი მოიგებს ამ პროცესს, იმიტომ კი არა, რომ ის პრეზიდენტია, არამედ ის აიღებს პასუხისმგებლობას ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე...



„კულუარული ინფორმაციით ჩემთვის ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა პირველი ინციდენტის შემდეგ მარგველაშვილი დაიბარა და უთხრა, – შენ პრეზიდენტის პოსტი უნდა დატოვო... მარგველაშვილი არ დაემორჩილა და უპასუხა, რომ ამ ნაბიჯზე არ წავიდოდა. ივანიშვილმა შეახსენა, რომ პრეზიდენტად ის მან მოიყვანა... მარგველაშვილს უთქვამს, – არა, ბიძინა, შენ წარმადგინე, ხალხმა კი ამირჩია. პირველი მცდელობა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტობიდან გადამდგარიყო, ივანიშვილისთვის კრახით დასრულდა“

**— ბიძინა ივანიშვილის ბოლო ინტერვიუდან ირკვევა, რომ ის არ აპირებს მარგველაშვილთან შერიგებას. ძალიან გაბრაზებულია. გამოსავალი ერთადერთია — პრეზიდენტი უნდა გადადგეს. როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილი გადადგება? რა არის გამოსავალი ამ კრიზისიდან?**

– კულუარული ინფორმაციით, ჩემთვის ცნობილია, რომ ბიძინა ივანიშვილმა პირველი ინციდენტის შემდეგ მარგველაშვილი დაიბარა და უთხრა, – შენ პრეზიდენტის პოსტი უნდა დატოვო... მარგველაშვილი არ დაემორჩილა და უპასუხა, რომ ამ ნაბიჯზე არ წავიდოდა. ივანიშვილმა შეახსენა, რომ პრეზიდენტად ის მან მოიყვანა... მარგველაშვილს უთქვამს, – არა, ბიძინა, შენ წარმადგინე, ხალხმა კი ამირჩია. პირველი მცდელობა, რომ მარგველაშვილი პრეზიდენტობიდან გადამდგარიყო, ივანიშვილისთვის კრახით დასრულდა. თუმცა დღეს ისეთი განწყობაა, რომ ხელისუფლებაში ვიღაც უშვებს, რომ მარგველაშვილს ძალიან მალე წააქცევენ, თუკი ასე საჯაროდ გამოვლენ და დაარტყამენ. როგორც ჩანს, კულუარებში განხილულია თემა, რომ მარგველაშვილის საკითხს ძალიან მალე დაასრულებენ. ახლა განვიხილოთ, რა აქვთ გათვლილი, ვინც ასე ფიქრობს. ჯერ კიდევ ცდილობენ, აიძულონ მარგველაშვილი თავისი ნებით წავიდეს პრეზიდენტობიდან, ეს გამორიცხულია. არსებობს მეორე გზა, – გადააყენონ იმპიჩმენტის გზით, მაგრამ იმპიჩმენტი ურთულესი პროცედურაა. იმპიჩმენტის პროცედურის მიხედვით, მარგველაშვილს ჩადენილი უნდა ჰქონდეს კონსტიტუციური დარღვევა, ან სისხლის სამართლის დანაშაული. ასეთ შემთხვევაში კენჭი ეყრება პარლამენტში ამ საკითხს. ხმათა 2/3-ია საჭირო, 101 ხმა, რომ პრეზიდენტი იმპიჩმენტით გადააყენო „ქართულ ოცნებას“ კი 101 ხმა არა აქვს. შესაბამისად, ამ გზით პრეზიდენტის გადაყენება გამორიცხულია. თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი იმას ფიქრობს, რომ პარლამენტში მიაღწევს ორმესამედიან უმრავლესობას, მაშინ მას ისიც უნდა ჰქონდეს გათვლილი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს მიაღებინებს შესაბამის გადაწყვეტილებას. თუ ის ხელისუფლების უზურპაციის გზით წავა, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ საკონსტიტუციო გადატრიალების საშიშროების წინაშე ვდგავართ, ხოლო შეთქმულება სახელმწიფოს წინააღმდეგ არის უმძიმესი დანაშაული. თუ კაცს, რომელიც სახლში ზის, შეუძლია დაითანხმოს სასამართლო და 101 დეპუტატი, მაშინ ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში კონსტიტუცია არ მუშაობს და მუშაობს სოლოლაკის კონსტიტუცია. ამიტომ, რა თქმა უნდა, ასეთ სახიფათო ნაბიჯზე არ წავა, რადგან ეს პირველ რიგში მის იმიჯს დაარტყამს, გამოცხადდება პერსონა ნონ გრატად და დაემუქრება სრული იზოლაცია. ვფიქრობ, ჩვენი გათვლებით მარგველაშვილს თანამდებობიდან გადაყენების საფრთხე არ ელის. მაშასადამე, მივდივართ იქამდე, რომ მარგველაშვილი აირჩევს აუცილებლად პოლიტიკურ გზას, რასაც ჩვენ ვუყურებთ, ეს დიდხანს ვერ გაგრძელდება.

**— თუკი მარგველაშვილი აირჩევს პოლიტიკურ გზას და ოპოზიციაში ჩაუდგება მთავრობას, რა საფრთხეებს შეუქმნის, რა ბერკეტებია მის მხარეს?**

– უმრავლესობის დეპუტატები აცხადებენ, რომ პრეზიდენტს არავითარი უფლებამოსილებები აღარ აქვს, რომ მას სასახლიდან გამოასახლებენ. ეს არის ძალიან დიდი შეცდომა. ვთქვათ, სასახლეში გამოურთეს შუქი, მარგველაშვილი აანთებს სანთლებს და იმუშავებს ჩაბნელებულ სასახლეში, მოსახლეობის დიდი ნაწილი კი მარგველაშვილთან მივა მხარდასაჭერად, ამას გაიგებს მთელი სამყარო, რომ პრეზიდენტს საქართველოს მთავრობა სანთლის შუქზე ამუშავებს. მარგველაშვილი კი მოიპოვებს მხარდაჭერას როგორც ქვეყნის გარეთ, ასევე ქვეყნის შიგნით, მთავრობა დარჩება წაგებული. დავუშვათ, არ გადაუხადეს კომუნალური გადასახადები, საგადასახადო შევა სასახლეში, პოლიციის ძალით გამოაძევებენ იქიდან, თუ რას იზამენ?!. ამით დაირღვევა კონსტიტუცია, პრეზიდენტს არა მხოლოდ ხელს უშლიან, განახორციელოს თავისი უფლება-მოვალეობა, არამედ ზღუდავენ, იზოლაციაში ამყოფებენ იმისთვის, რომ მან ვერ განახორციელოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლება-მოვალეობა. აქ იგებს მარგველაშვილი. ამიტომ ეს არის წამგებიანი პიარი მთავრობისთვის. დღეს მარგველაშვილმა დათმო პოზიცია და არ წავიდა გაეროში, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან მალე მოვა დრო და ის აუცილებლად წავა გაეროში, პრეზიდენტია და იმიტომ. თუკი მარგველაშვილს კიდევ შეეწინააღმდეგებიან, ის იტყვის, მე ხალხს ვეცი პატივი და ერთხელ დავთმე, მაგრამ ახლა აღარ დავთმობ, ხელს მიშლით, დანაშაულს სჩადიხართ ქვეყნის წინაშე და ამისთვის დაისჯებით. ჩვენ გვაქვს შერეული საპარლამენტო და საპრეზიდენტო სახელმწიფო, სადაც პრეზიდენტს აქვს საკმაოდ სერიოზული ბერკეტები და მხოლოდ ერთს გეტყვით, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება ვისი პრეროგატივაა?.. რა თქმა უნდა, პრეზიდენტის. ხომ არ უნდა ვინმეს შევახსენო, რა ხდება საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების დროს?!. საკმარისია სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალი, ან პირობითად, 5 ადამიანის ერთდროულად გარდაცვალება, ქვეყნის მთავარსარდალს აქვს საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების უფლება და ამ დროს აღარ არსებობს არც პარლამენტი, არც მთავრობა, 48 საათში დააპატიმრებს ნახევარ საქართველოს, მათ შორის მთავრობას. რა თქმა უნდა, ამას მარგველაშვილი არ იკადრებს, მაგრამ, თუკი მის გვერდით სამხედროები აღმოჩნდებიან, ეს ნიშნავს, რომ ეს მექანიზმი შეიძლება ამუშავდეს. ასე რომ, ნუ უკიჟინებენ მარგველაშვილს, რომ ის არის უუფლებო პრეზიდენტი, მას შეუძლია ერთ დღეში შეცვალოს ყველაფერი.



„დღეს მარგველაშვილმა დათმო პოზიცია და არ წავიდა გაეროში, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან მალე მოვა დრო და ის აუცილებლად წავა გაეროში, პრეზიდენტია და იმიტომ. თუკი მარგველაშვილს კიდევ შეეწინააღმდეგებიან, ის იტყვის, მე ხალხს ვეცი პატივი და ერთხელ დავთმე, მაგრამ ახლა აღარ დავთმობ, ხელს მიშლით, დანაშაულს სჩადიხართ ქვეყნის წინაშე და ამისთვის დაისჯებით. ჩვენ გვაქვს შერეული საპარლამენტო და საპრეზიდენტო სახელმწიფო, სადაც პრეზიდენტს აქვს საკმაოდ სერიოზული ბერკეტები“

ეხლა მსუბუქ ფორმებზე გადავიდეთ, ვთქვათ, მარგველაშვილმა შეიტანა კანონპროექტი, რომ ანაბრები დაუბრუნონ ხალხს და პარლამენტმა უთხრა უარი. რა ხდება? იწყება დემონსტრაციები. რას ჰქვია პარლამენტმა ხალხს უარი უთხრა, პრეზიდენტი მართალია. მარგველაშვილს შეუძლია, 5 წუთში გააშავოს პარლამენტის იმიჯი. თუ ეს არ არის საკმარისი, გადავიდეთ უფრო მწვავე საკითხზე... პრეზიდენტს შეუძლია ჩაატაროს რეფერენდუმი, მაგალითად, დავითხოვოთ თუ არა პარლამენტი. როგორ ფიქრობთ, ხალხი მხარს არ დაუჭერს?.. ამ პრეზიდენტზე მიმტკიცებენ მე, რომ უუფლებოა?!. მარგველაშვილის სახით, ცეცხლს ეთამაშებიან!.. ამიტომ ფრთხილად, ამ ბრძოლაში წააგებთ, ბატონებო, რადგან პრეზიდენტს გაცილებით ძლიერი პოლიტიკური ბერკეტები აქვს, ვიდრე მთავრობას.

**ნინო სამხარაძე**

599 71-14-22

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## აუცილებელი განმარტება

„ალიას“ 19 სექტემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მანანა კობახიძის ინტერვიუ, სადაც საუბარია კიბერდანაშაულზე და იმაზე, როგორ ბინძურ კამპანიას ეწევიან „ნაციონალები“ პრემიერ-მინისტრის ოჯახის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, ინტერვიუში გაპარულია ტექნიკური შეცდომა – ვინაიდან ჟურნალისტის, ანუ ჩემი, შეკითხვა არ არის გამოყოფილი შავი შრიფტით, სხვადასხვა სააგენტოებმა და მათ შორის, „ამბები.გე“-მ ჩათვალეს მანანა კობახიძის ნათქვამად. შეკითხვა, რომელსაც აქვე გთავაზობთ, მეკუთვნის მე, გელა ზედელაშვილს და არა მანანა კობახიძეს:

„მე უნდა მქონდეს საშუალება, ასეთ დროს პოლიციას მივმართო განცხადებით და დაიწყოს გამოძიება. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ჩემს ტელეფონზე მოდიოდა შეურაცხმყოფელი შეტყობინებები, მივმართე პოლიციას და სამ დღეში სიმაღლის მიხედვით შემორეკეს გამომძიებლის კაბინეტში დამნაშავეები. ისინი ან სოლიდური თანხებით უნდა დაჯარიმებულიყვნენ, ან სულ მცირე, თითო წლით წასულიყვნენ ციხეში. ვინაიდან მათ წერილობით მოინანიეს და ბოდიშები იხადეს, ჩემი ნებართვით გაათავისუფლეს. ასე უნდა იყოს ამ შემთხვევაშიც, რა მნიშვნელობა აქვს, რა ფორმით მომაყენებს ვიღაც ვიგინდარა შეურაცხყოფას? კი, ბატონო, თქვენ გაქვთ თმენის ვალდებულება, მაგრამ ხომ შეიძლება, მე მართლა შუბლი გავუხვრიტო ვიღაცას“?




## თბილისში მამაკაცმა ორი ტაქსის მძღოლი დააყაჩაღა

თბილისში ორი ტაქსის მძღოლის დაყაჩაღების ფაქტზე ახალგაზრდა მამაკაცი დააკავეს. მან ერთ-ერთ ტაქსის მძღოლს – 10 ლარი, ხოლო მეორეს 50 ლარი წაართვა. შს სამინისტროს განცხადებით, საქმე აღძრულია 176-ე მუხლით, რაც ყაჩაღობას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## რეიდები სექსმუშაკების წინააღმდეგ



ორგანიზაცია „იდენტობა“ პოლიციელთა მხრიდან კომერციული სექსმუშაკების შევიწროების ფაქტებზე განცხადებას ავრცელებს:

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში, თბილისში ე.წ. მასობრივი საპოლიციო რეიდების დასრულების შემდეგ, პოლიციის მორიგ სამიზნედ კომერციული სექსმუშაკები იქცნენ. პოლიცია მათ ტრადიციული შეკრების ადგილებზე დგომას უკრძალავს არა კანონით გაწერილი ნორმებით, არამედ მიზანმიმართულად პროვოკაციული მეთოდების გამოყენებით. სექსმომსახურების შეთავაზება აკრძალულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, მაგრამ პოლიცია ამ კანონს არ იყენებს. ამის ნაცვლად, პოლიციელები მიზანმიმართულად აყენებენ ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, რითაც საპასუხო აგრესიულ ქცევას იწვევენ. შემდგომ, პოლიციელები გაღიზიანებული, ნაცემი და დამცირებული სექსმუშაკების მხრიდან საპასუხოდ განხორციელებული ზეპირსიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს ვიდეოკამერაზე იღებენ, აღნიშნულ პირებს აკავებენ და სასამართლოს წარუდგენენ. სასამართლოები კი წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე იძულებულნი ხდებიან აღნიშნული პირები დააჯარიმონ ძირითადად ისეთი სამართალდარღვევებისთვის, როგორებიცაა, მაგ., ხულიგნობა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევა. პოლიციელის მხრიდან განხორციელებული უკანონო ქმედების დადასტურებას კი მსხვერპლები სასამართლოს წინაშე, მყარ მტკიცებულებათა არარსებობის გამო, ვერ ახერხებენ. პოლიცია რეიდების მსვლელობის მთლიან პროცესს კი არ იწერს, არამედ მხოლოდ იმ ნაწილს, რომელშიც გაღიზიანებული მსხვერპლის თავდასხმაზე საპასუხო ქმედება ჩანს...“ – ნათქვამია განცხადებაში. (ნიუპოსტი)

# უგულავას წერილში გაცემული რა ინსტრუქციების შესრულება დაიწყო „ნაცმოძრაობამ“?

**„ალიას“ ესაუბრება ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ გაგნიძე:**



**— ბატონო ზურაბ, მითხრეს, თქვენს უნივერსიტეტში უცნაური მოძრაობები დაწყებულა. რა ხდება?**

– ის, რომ სერგო რატიანს შემოუთვალა გიგი უგულავამ ციხიდან, ახალგაზრდების გადმობირების საქმეს მიხედეო, არ ყოფილა ჩემთვის უცნაური, რადგანაც ადრეც ავალებდნენ მას ამდაგვარ რამეს. როცა თევზაძე ჯერ კიდევ უცხო ენათა ინსტიტუტში იყო, მაშინ რატიანი ხშირად ეკონტაქტებოდა აქტიურ სტუდენტებს, რომლებიც თავისი აქტიურობით გამოირჩეოდნენ და ამ სტუდენტებს მოიაზრებდა შემდგომში დასაყრდენად, ზოგს საზღვარგარეთ უშვებდა, ანუ თავისებურად კარიერას უწყობდა და აქედან გამომდინარე, იმის თქმა მინდა, რომ რატიანს საამისო გამოცდილება აქვს და გიგი უგულავამ ეს მშვენივრად იცოდა, როცა თავის წერილში სტუდენტების გააქტიურებისკენ მოუწოდა. ამიტომ ახლა ეს დავალება რომ მიიღო, ცხადია, ძველ მეთოდიკას გამოიყენებს რატიანი. კი ჰყავთ ისედაც თავისი მომხრეები, მაგრამ ახლა დაწყებულია, სტუდენტობის გადაბირების კიდევ ერთი ეტაპი და ეს ხდება ანგარებით. ამ ანგარებაში კი შედის არა მარტო თანხა, რაც არაა გამორიცხული, არამედ კურსიდან კურსზე გადაყვანა, ნიშნის დაწერა, გამოცდების ჩაწყობა, დამთავრება, სწავლის ფულის გადავადება, მერე უცხოეთში გაგზავნა, მაგისტრატურაში დატოვება, დოქტორანტობა და ყველაფერ ამას აკეთებენ სტუდენტების გადასაბირებლად. ასეთ კატეგორიაზე მუშაობენ და ნაწილი ახალგაზრდებისა გადაიბირეს კიდეც, თუმცა, ჩემი დაკვირვებით, ამ ახალგაზრდებს სხვა აზრი აქვთ, და აშკარად ჩანს, რომ ისინი უფრო ანგარებით ემორჩილებიან. თუ ვინმე მათ გადასახადებს გადაუხდის, ან გაუნახევრებს, რატომაც არა? თუმცა ჯერჯერობით მხოლოდ დაპირების დონეზე ხდება საუბარი.

**— რატიანის გარდა ამ საქმეში ვინ არის ჩართული, კიდევ ვინ მონაწილეობს?**

– ესაა მთელი ჯგუფი და ძალიან დიდ თანხებზეა საუბარი, ძალიან. რატიანს ეხმარებიან მისი თანამოაზრეები: ახალი კანცლერი აფრასიძე, დღევანდელი აკადემიური საბჭო, ასევე რექტორი ზედანია, ემზარ ჯგერენაია, რომელსაც მნიშვნელოვანი თანამდებობა აქვს საჯარო ბიბლიოთეკაშიც და იქიდანაც კავშირები აქვს ახალგაზრდებთან, აქვთ საერთო მხარდაჭერა – ბოკერიასგან და ასევე „თავისუფლების ინსტიტუტისგან“, რომლის თავკაციცაა რამიშვილი.

**— ამ აქციებით ეს ხალხი სადამდეა წამსვლელი? მხოლოდ აქციებში მიიღებენ მონაწილეობას, თუ ხელჩართულ ბრძოლამდეც მივლენ?**

– მანდ ყველაფერია მოსალოდნელი, მაგრამ გაყოფა იქნება, პლაკატის გამშლელებიც იქნებიან, მაგისთვის გოგონებიც ჰყავთ ჩართული და ბიჭები უფრო მეტად საბრძოლოდ იქნებიან მომზადებულნი. მანდ, ჩემი ინფორმაციით, გაყოფილია თანხები, უბრალოდ აქციის მონაწილეებს მცირე თანხები აქვთ გამოყოფილი და ვინც მზად იქნება სხვადასხვა „კოქტეილების“ სროლისთვის, ასევე ვილაც საბურავებს დაწვავს, ან პროვოკაციას გამოწვევენ, მათ სხვა დაფინანსება ექნებათ. ჩემი ინფორმაციით, არ არის გამორიცხული, „კმარას“ მსგავსი ორგანიზაციაც გამოჩნდეს, ლაპარაკი იყო, რომ ასეთ ჯგუფებს „თავისუფლება“ დაერქვას. აქ ერთი რამეა გასათვალისწინებელი, სტუდენტებში გამყარებულია აზრი, რომ ამათ საზღვარგარეთიდან აშკარად დიდი მხარდაჭერა აქვთ და ეს მომენტი ძალიან მაშფოთებს, რადგანაც ამან შეიძლება ახალგაზრდობაში დიდი როლი ითამაშოს: მათ შეიძლება, იფიქრონ, რომ აქ კი გავაკეთებთ ცუდ საქმეს, მაგრამ უცხოეთში სასწავლებლად წავალთ და ამ უარყოფით საქციელს დადებითით შევცვლითო. ძალიან მცირე ნაწილია, რომელიც იდეოლოგიურად მართლა ემხრობა ამათ, ისინი ხედავენ, რომ სააკაშვილი ვერ ჩამოიყვანეს, ძველი პრეზიდენტი ცირკულარში ვერ ჩასვეს და ეს უქმნის ნოყიერ ნიადაგს სერგო რატიანს.

**— თქვენ სტუდენტთა კატეგორიები ჩამოთვალეთ და როგორ ფიქრობთ, საბოლოოდ ბევრი სტუდენტის აყოლიებას შეძლებენ?**

– ცხადია, ვერა, რადგანაც მასა ვერ იტანს „ნაციონალურ მოძრაობას“, ამიტომ ისინი მასობრივ გამოსვლებს ვერ მოახერხებენ, მაგრამ საშიშია, არეულობა არ მოჰყვეს ამას. აქ კიდევ ერთი რამაა გასათვალისწინებელი, სერგო რატიანს პირდაპირ დაევალა ერთი რამ და ეს გახმაურებული არაა, რომ განათლების მინისტრ სანიკიძის დახმარებით, რომელიც კარგადაა რატიანთან და საერთოდ, ილიას უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, ვისი დახმარებითაც უნივერსიტეტი კარგ დაფინანსებას იღებს, სწორედ ამ სანიკიძის დახმარებით მარგველაშვილის ხაზზე დამკვიდრდნენ. სანიკიძე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ დაახლოებულია პრეზიდენტ მარგველაშვილთან და ამიტომ სერგო რატიანი უპრობლემოდ ხვდება მარგველაშვილს და მიზანი ერთია, რასაც კურირებს თევზაძე, ბოკერია და უგულავა, – გადმოიბირონ პრეზიდენტი.

ნახეთ რა ხდება? თუ მარგველაშვილი ამ დაძაბულობის დროს მკვეთრად დადგება მათ მხარეს, შესაძლოა, უპირატესობა ამათ მხარეს გადაიწონოს. ამიტომ, როგორც გითხარით, რატიანი იოლად ხვდება მარგველაშვილს და არწმუნებს, რომ მათი ერთიანობა აუცილებელია, რომ მარგველაშვილსაც საფრთხე ემუქრება. ჩემი ინფორმაციით, დღეისთვის შეიქმნა კომისია, რომელიც გააკონტროლებს სტუდენტებთან ურთიერთობას და ამაში მარგველაშვილიც დაეხმარება მათ და ისინი ყოველმხრივ დაფინანსდებიან მომავალში. ანუ მიზანი ერთია, რომ ახალგაზრდობა აიყოლიონ ხელისუფლების წინააღმდეგ.

**— პირად საუბარში მითხარით, რომ რატიანი სხვა მოხელეებსაც დაუახლოვდა.**

– დაუახლოვდა არა, დაახლოებულია და ეს გახლავთ კულტურის ახალი მინისტრი გიორგაძე. ფაქტია, რატიანმა ძალზე გაიხარა, როცა ის მინისტრად დანიშნეს.

**— და რაში გამოიყენებს გიორგაძის ახლობლობას?**

– რაში და განათლების სამინისტრო ყველა უმაღლესს ვერ მოიცავს, სამი უმაღლესი სასწავლებელი სწორედ კულტურის სამინისტროს ეკუთვნის – სამხატვრო აკადემია, კონსერვატორია და თეატრალური უნივერსიტეტი, ამიტომ გიორგაძესთან რატიანის მეგობრობა ლოგიკურია.

**— რა, ამ სასწავლებლებშიც შეეცდება რატიანი, გავლენა იქონიოს?**

– რა თქმა უნდა. ვიცი, რომ გიორგაძე მხარს უჭერს და პირადად იცნობს მას და ამ კავშირებს ეს ადამიანი იყენებს, რათა ამით უგულავასა და „ნაციონალების“ დავალება შეასრულოს.

**— ისე, უკან დაბრუნების დიდი იმედი აქვთ?**

– აბა, რაა, რადგანაც დარწმუნებულები არიან, რომ გარანტირებული აქვთ უცხოეთის მხარდაჭერა, გარდა ამისა, მერიდიან გამოყრილი ხალხი ჰყავთ დასასაქმებელი, თვითმმართველობის არჩევნების დროს ხომ ბევრი უმუშევარი დარჩათ „ნაციონალების“ დროს დანიშნული და რატიანს ისიც დაევალა, რომ ეს ხალხიც გამოიყვანოს და მათაც ერთადერთი იმედი რატიანის აქვთ, რადგან ჰგონიათ, რომ თავის მსუყე ადგილებს ისევ დაიბრუნებენ.

**ამის შემდეგ, წესით, კომენტარი სერგო რატიანისგან უნდა აგვიღოთ, ამიტომ ვურეკავთ მას, თუმცა, წინასწარ ვიცით, რომ, ტრადიციულად, რატიანი არ პასუხობს ზურაბ გაგნიძის ბრალდებებს:**

– (ეცინება) ზურაბ გაგნიძე? ეგ ადამიანი მიღმაა... მეტს არაფერს ვიტყვი.

**თამარ ოქრუაშვილი**

599 10-93-50

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...



## ხაბაძე პანსიონის ირგვლივ ატეხილ აჟიოტაჟზე საუბრობს

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე არჩილ ხაბაძე მუსლიმანური პანსიონის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს „მესამე ძალას“ უკავშირებს, რომელმაც „მოახდინა ამის პროვოცირება და კიდევ აგრძელებს. ორივე მხარეს უნდა ეყოს გონიერება და მთავრობაც მოწადინებულია, რომ ეს საკითხი მშვიდობიანად გადაწყდეს“.

შეგახსენებთ, ქობულეთში, ლერმონტოვის ქუჩაზე მდებარე მუსლიმანურ პანსიონთან რამდენიმე დღის წინ ღორი დაკლეს და პირუტყვის თავი პანსიონის კარს მიამაგრეს. ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლი აცხადებს, რომ ქრისტიანულ უბანში მუსლიმანური პანსიონის ფუნქციონირებას არ დაუშვებს. (ინტერპრესნიუსი)

## „ყაზტრანსგაზ თბილისში“ ახალი სპეციალური მმართველი დაინიშნა




სემეკმა შპს „ყაზტრანსგაზ თბილისში“ ახალი სპეციალური მმართველი, გია ბენაშვილი დაინიშნა, რომლის უფლებამოსილების ვადა მიმდინარე წლის ბოლომდე განისაზღვრა.

როგორც კომპანიაში აცხადებენ, ბენაშვილი შპს „ყაზტრანსგაზ თბილისში“ 2008 წლიდან მუშაობს. კომისიის გადაწყვეტილება დასამტკიცებლად სასამართლოს გადაეგზავნება.

მათივე ინფორმაციით, ყოფილმა სპეციალურმა მმართველმა ირაკლი გაბუნიამ მიმდინარე წლის 16 სექტემბერს სემეკს თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ განცხადებით მიმართა. გაბუნია აღნიშნულ თანამდებობას 2013 წლის 29 აგვისტოდან იკავებდა. მისი უფლებამოსილების ვადა 2015 წლის პირველ იანვრამდე იყო განსაზღვრული. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## გედევან ფოფხაძემ გიორგი ღვინიაშვილს ბოდიში მოუხადა



დეპუტატმა გედევან ფოფხაძემ კოლეგა გიორგი ღვინიაშვილს ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალებაში მისი მისამართით გაკეთებული ბრალდებების გამო ბოდიში მოუხადა.

„ეს ბოდიში ჩემი მხრიდან დაგვიანებულია. როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ ირაკლი ალასანია ძალიან კარგი და ღირსეული ადამიანია და ის, რაც მან მაშინ თქვა, იყო შეცდომა. დარწმუნებული ვარ, ირაკლისთვისაც არ არის პრობლემა, რომ ეს აღიაროს“, – განაცხადა ფოფხაძემ.

მისივე შეფასებით, რაფალიანცის საქმეზე პარლამენტის საგამოძიებო კომისიის შექმნა სწორი არ იქნება, რადგან ბავშვის ტრაგედიის პოლიტიზებას მოახდენს. „ეს ისეთივე შეცდომა იქნება, რაც თავის დროზე ჩემს თანაგუნდელებს ნამდვილად შეეშალათ და უნდა ვაღიაროთ, რომ შეეშალათ. ეს არ იყო მორალურად გამართლებული, როგორი პოლიტიკური ფონიც არ უნდა ყოფილიყო, ასეთი რამ არ უნდა გაჟღერებულიყო“, – აღნიშნა ფოფხაძემ, რომლის თქმით, საქმე ლოგიკურ დასასრულამდე სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა მიიყვანონ. (ინტერპრესნიუსი)

# რით დაემუქრნენ და რის თქმას აპირებს მურმან დუმბაძე მარგველაშვილისთვის?



მას შემდეგ, რაც „ქართული ოცნებ-ის“ პოლიტსაბჭომ პარლამენტის ვიცე-სპიკერი მურმან დუმბაძე პარტიიდან გარიცხა, მან განაცხადა, რომ მობილურ ტელეფონზე უცნობები ურეკავენ და ემუქრებიან. მან შსს-ს მიმართა, ჩემი უსაფრთხოება უზრუნველყავითო. ამის შემდეგ მუქარის შესახებ დუმბაძეს სიტყვა აღარ დასცდენია.

ვინ დაურეკა მურმან დუმბაძეს, რით ემუქრებოდნენ და რა მოიმოქმედა ამის შემდეგ დეპუტატმა?

ამის შესახებ „ალიას“ თავად **მურმან დუმბაძე** ესაუბრა:

**— ბატონი მურმან, ტელეფონზე მუქარის ზარები მომივიდაო, თქვით. რა გითხრეს, რით დაგემუქრნენ?**

– აი, „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭო რომ დასრულდა, რომლის დროსაც მე გამრიცხეს პარტიიდან, დაახლოებით საათ-ნახევარი იყო გასული და უცნობმა მამაკაცმა დამირეკა. ვიღაც მოძველბიჭო ელემენტი იყო, მისი მოკლე საუბრიდან ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. უნდოდა, რომ ავყოლოდი საუბარში, მაგრამ ტელეფონი გავუთიშე. მარტო იმის თქმა მოასწრო, რომ, თუ ასე გავაგრძელებდი, ჭკუას მასწავლიდა. არ მინდა, მოვლენებს დავასწრო, მაგრამ იმის თქმა კი შემიძლია, რომ „ქართული ოცნების“ მხურვალე მხარდამჭერი იყო და ჩემგან ამ პარტიისა და, ზოგადად, დღევანდელი ხელისუფლების კრიტიკა ვერ აიტანა.

**— სხვა მუქარა არ ყოფილა?**

– არა, ეს ერთი სატელეფონო ზარი იყო მხოლოდ.

**— მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინეთ?**

– კი, იმ დღესვე დავრეკე საპატრულო პოლიციაში, მოვიდნენ, ოქმი შეადგინეს, დამკითხეს და სამართლებრივი პროცედურები დაწყებულია. იმედი მაქვს, მალე გაარკვევენ, ვინ დამირეკა და პასუხსაც მოსთხოვენ. ამისთვის მობილური სატელეფონო ქსელიდან მხოლოდ იმ ტელეფონის ნომრის ამოღებაა საჭირო, საიდანაც დამირეკეს.

**— თქვენი ოჯახის წევრებსაც ხომ არ დამუქრებია ვინმე?**

– არა, ჯერ ასეთი სისულელე არავის გაუკეთებია.

**— თქვენ პრეზიდენტთან ითხოვდით შეხვედრას. რა არის ამის მიზეზი? რატომ გაგახსენდათ მაინცდამაინც ახლა პრეზიდენტი, როცა „ქართული ოცნებიდან“ გაგრიცხეს და თქვენს პოლიტიკურ კარიერასაც შეიძლება საფრთხე დაემუქროს?**

– ჩემს პოლიტიკურ კარიერას არანაირი საფრთხე არ ემუქრება, პარტიიდან კი მხოლოდ იმიტომ გამრიცხეს, რომ ამ 2 წლის მანძილზე, სიმართლე ვთქვი და გავაკრიტიკე ხელისუფლება. ვერა და ვერ დაასრულეს ამ „ნაციონალებთან შეხმატკბილებული ურთიერთობა, 2011 წლის ცნობილი ბეშუმის ინციდენტის დროს, ვინც ყველაზე მეტად აქტიურობდა და ვინც ბიძინა ივანიშვილის გალახვას აპირებდა, ყველა მაღალ პოსტებზე დანიშნეს აჭარაში. ამაზე არასდროს გავჩუმებულვარ და არც შევურიგდები ასეთ უმსგავსობებს. აი, ეს არ მაპატიეს, მეტი არაფერი, „ნაცმოძრაობის“ „ზონდერები“ არჩიეს ჩემს თავს და ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროს „ქართულ ოცნებას“ ეგ ხალხი. პრეზიდენტთან შეხვედრა დაგეგმილია და იმ კვირაში ეს შეხვედრა შედგება კიდეც. შეცდომით გავრცელდა ინფორმაცია, თითქოს ამ მუქარასთან დაკავშირებით მინდოდა პრეზიდენტ-მარგველაშვილთან შეხვედრა. ასე არ არის. ხელისუფლების შტოებს შორის როცა ასეთი წინააღმდეგობაა, პრეზიდენტს აქვს ვალდებულება, ამ საქმეში ჩაერიოს. ეს უფლება კონსტიტუციით აქვს მინიჭებული. მე მაქვს სურვილი, აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებს შეხვდეს გიორგი მარგველაშვილი და გაერკვეს აჭარაში მიმდინარე პროცესებში. არაფერ უკანონოს მე არ ვითხოვ, ეს ყველაფერი კანონიერია და პრეზიდენტის მოვალეობაა.

**— ვრცელდება ხმები, რომ გიორგი მარგველაშვილმა, შესაძლოა, ახალი პოლიტიკური გუნდი, ანდა სულაც ახალი პარტია შექმნას. თუ ასე მოხდა, მისი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი თქვენც ხომ არ იქნებით? ამის თაობაზეც ხომ არ უნდა ესაუბროთ მარგველაშვილს?**

– არა, ამ თემაზე არ მექნება ლაპარაკი. გამორიცხული არაფერია, დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ეს კარგად ვიცი. ამ შეხვედრის მიზანია, რომ საქართველოს პრეზიდენტის აზრი გავიგო იმ საკითხებთან დაკავშირებით, რაც საქართველოს ხელისუფლებამ დასვა ამ დღეებში. მე არაერთი მოთხოვნა გავიგე ამ დღეებში, რომ აჭარის მთავრობა იქნეს გადაყენებული. ამ საკითხში ექსკლუზივი აქვს პრეზიდენტს და არც ერთ სხვა მაღალი თანამდებობის პირს. პრეზიდენტს შეუძლია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დათხოვნა, პარლამენტის დათხოვნა, ახალი მთავრობა წარუდგინოს უმაღლეს საბჭოს. მოკლედ, აჭარის ავტონომიის საკითხში პრეზიდენტის უფლებები განუსაზღვრელია. ეს არც პრემიერის კომპეტენციაა, არც პარლამენტის და არც არავისი. ადრეც ჰქონდა ეს უფლებები პრეზიდენტს და კონსტიტუციის შეცვლის, პრეზიდენტისთვის უფლებამოსილებების შეკვეცის შემდეგ, ეს უფლებები მას მაინც დარჩა.

**— მოკლედ, აჭარაში რთული სიტუაციაა და გსურთ, რომ პრეზიდენტმა დაალაგოს?**

– კი, ეს პრეზიდენტის მოვალეობაა და რაც დასალაგებელია, მართლა უნდა დაალაგოს, ყველაფერი კონსტიტუციის ჩარჩოებში უნდა მოექცეს.

**— ბატონო მურმან, ქართული ოცნების“ დეპუტაციის ერთი ნაწილი არ მალავს, რომ თქვენი ვიცე-სპიკერობიდან გადაყენება სურთ. ამისთვის კი აჭარიდან არჩეული 6 მაჟორიტარი დეპუტატიდან ოთხის თანხმობაა საჭირო. როგორ ფიქრობთ, შეძლებს „ქართული ოცნება“, დაითანხმოს 4 აჭარელი დეპუტატი, რომ გაგიწვიონ ვიცე-სპიკერის პოსტიდან? შეგახსენებთ, რომ ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც თანამებრძოლად მიიჩნევდით, განაცხადა, რომ არჩევისას მხარი დაგიჭირათ და ახლა, თუკი თქვენი შეცვლის საკითხი დაისვა, ისე მოიქცევა, როგორც სიტუაცია მოითხოვს. ეს დეპუტატმა ფატი ხალვაშმა განაცხადა.**

– მე ვფიქრობ, რომ „ქართული ოცნება“ ვერ მოძებნის პარლამენტში ოთხ ისეთ დეპუტატს, რომელიც ჩემს ვიცე-სპიკერობიდან გადაყენებას დაუჭერს მხარს.

**— რატომ ხართ ასე დარწმუნებული?**

– მჯერა ამ ხალხის და იმიტომ. სხვათა შორის, „ქართულ ოცნებაში“ დაიბარეს ეს დეპუტატები, მათზე განახორციელეს ზეწოლა და მოსთხოვეს, რომ მხარი დაეჭირათ ვიცე-სპიკერის პოსტიდან ჩემი გადაყენებისთვის. დეპუტატმა როსტომ ხალვაშმა ამაზე კატეგორიული უარი განაცხადა. სხვების პოზიცია კი, თუ ეს საკითხი მართლა დადგა, მაშინ გამოჩნდება. თუმცა, მე მჯერა, რომ ვერ დაითანხმებენ 4 დეპუტატს, ამაზე წავიდნენ.

**— ფატი ხალვაშის განცხადება, რომ სიტუაციის შესაბამისად მოიქცევა, იმის შედეგი ხომ არ არის, რომ მასზეც ზეწოლა იყო და დაითანხმეს, თქვენს გამოწვევას დასთანხმებოდა?**

– ვერ გეტყვით...

**— იმაზეც არის ლაპარაკი, რომ არა მხოლოდ ვიცე-სპიკერის თანამდებობა, არამედ პარლამენტარის მანდატიც დაგატოვებინონ.**

– დეპუტატისთვის უფლებამოსილების შეწყვეტას, დეპუტატთა საერთო რაოდენობის 3/4 სჭირდება, ეს კი 134 დეპუტატია. გამორიცხულია, რომ ამდენი დეპუტატი მოაგროვოს „ქართულმა ოცნებამ“ ჩემს წინააღმდეგ. საამისოდ „ნაციონალთა“ ხმებიც დასჭირდებათ.

**— და ფიქრობთ, „ნაციონალები“ „ქართულ ოცნებასთან“ დაპირისპირებული დეპუტატის პარლამენტიდან გაწვევას მხარს არ დაუჭერენ?**

– კი, ეს ასეა ლოგიკურად...

ლევან ჯავახიშვილი
577 51 73 37

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „თაღლაურა“ განმეორებით 1000 ლარით დაჯარიმდა



სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის სამმართველოს წარმომადგენლებმა ბელიაშვილის ქუჩაზე მდებარე სახინკლე „თაღლაურა“ განმეორებით დააჯარიმეს.

სააგენტო კიდევ ერთხელ განმარტავს, რომ თბილისის სამმართველოს მთავარმა სპეციალისტ-ინსპექტორებმა შესაბამისობის შეფასების აქტის საფუძველზე გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობებისთვის შპს „თაღლაურა მენეჯმენტ კომპანის“ სახინკლეს შეუჩერეს საწარმოო პროცესი (ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება-რეალიზაცია) და ბიზნესოპერატორი 1000 ლარით დააჯარიმეს, თუმცა, საზკვების ობიექტმა თვითნებურად კვლავ განაგრძო ფუნქციონირება, რის გამოც, შპს „თაღლაურა მენეჯმენტ კომპანი“ განმეორებით დაჯარიმდა 1000 ლარით.

„თაღლაურას“ ხელმძღვანელობამ 17 სექტემბერს აცნობა სურსათის ეროვნულ სააგენტოს კრიტიკული შეუსაბამობის აღმოფხვრის შესახებ და ითხოვა შეჩერებული საწარმოო პროცესის აღდგენა, რის შემდეგაც სურსათის ეროვნული სააგენტოს ინსპექტორებმა გადაამოწმეს ობიექტი და მას აღუდგა ხორცისა და ხორცპროდუქტების წარმოება-რეალიზაციის უფლება. (ნიუპოსტი)




## გორში 21 წლის გოგონა ჩამომხრჩვალი იპოვეს

გორში კომბინატის დასახლებაში 21 წლის გოგომ თავი ჩამოიხრჩო. როგორც ირკვევა, ჩამომხრჩვალი გოგონა მამამ იპოვა. გარდაცვლილი ნ.ბ.-ს გვამი პროზექტურაში გადაასვენეს.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება უკვე დაწყებულია. საქმე მიმდინარეობს 115-ე მუხლით, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## საქართველო ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებისთვის დახურულ ტერიტორიად ცხადდება




ქვეყნის ტერიტორიაზე, მის გარემოში ინტროდუქცია იკრძალება, რაც ნიშნავს, რომ ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმებით შექმნილი თესლი საქართველოში თავისუფლად აღარ შემოვა, შემოსვლის შემთხვევაში კი, მისი ნიადაგში შეტანა დახურულ სივრცეში მოხდება, რაც, თავის მხრივ, ლიცენზირებადი საქმიანობა იქნება. ამ ყველაფერს კანონპროექტი ითვალისწინებს, რომელიც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ მოამზადა და პარლამენტმა დაამტკიცა.

„ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ გენმოდიფიცირებული თესლი და გენმოდიფიცირებული თესლისგან წარმოებული პროდუქცია, რომელიც შეიძლება შემოდიოდეს საქართველოში. ჩვენ მეორეს არ ვკრძალავთ და ამას ვერც ავკრძალავთ, მაგრამ საქართველო გამოცხადდება დახურულ ზონად ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების გამოყენებით შექმნილი თესლებისთვის, ანუ გენმოდიფიცირებული სათესლე ნედლეული საქართველოში არ უნდა შემოვიდეს. სამეცნიერო წრეებში დღემდე მიდის დავა, სასარგებლოა, თუ უსარგებლოა ის და შეუძლია თუ არა ავნოს ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ჩვენ არ გვინდა რისკის ქვეშ დავაყენოთ ჩვენი მოქალაქეების სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ამასთანავე, არ გვაქვს სასოფლო-სამეურნეო მიწების გიგანტური ფართობები, მაგრამ საქართველო ევროპის კონტინენტზე, ფაქტობრივად, არის უკანასკნელი კუნძული ეკოლოგიურად სუფთა სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების კუთხით. ჩვენი სოფელი ამ კუთხით განადგურებული და წამხდარი არ არის. შეიძლება უამრავი მაღალხარისხიანი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოება. ამით ვართ ჩვენ საინტერესო დანარჩენი მსოფლიოსთვის, ევროპისთვის და ამით უნდა შევიდეთ ევროპის სასურსათო ბაზარზე. ჩვენი სამარკო ნიშანია სუფთა თაფლი, სუფთა ბაღჩეული, ბოსტნეული, ხილი“, – განაცხადა პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის ხელმძღვანელმა გიორგი ცაგარეიშვილმა. (ინტერპრესნიუსი)

# რას ამბობს ლუკა კურტანიძე თავისი თანამებრძოლის, მერაბ შათირიშვილის ქუთაისიდან მსვლელობაზე?

**ჭიდაობის ფედერაციის ხელმძღვანელს, ლუკა კურტანიძეს, სპორტსმენებმა სამუშაო კაბინეტის კარი აუჭედეს და მის გადადგომას ითხოვენ. მოჭიდავეების პროტესტი, ლუკა კურტანიძის იმ გადაწყვეტილებას უკავშირდება, რომ კურტანიძემ, წარუმატებელი ასპარეზობის გამო, ორი მწვრთნელი — მინდორაშვილი და დარჩია თანამდებობიდან გაათავისუფლა. კარის აჭედვის ფაქტს, კურტანიძე უმალვე გამოეხმაურა და მწვრთნელების განთავისუფლების მიზეზი კიდევ ერთხელ განმარტა.**

**„ალია“ ლუკა კურტანიძეს დაუკავშირდა, მაგრამ არა კარის აჭედვასთან, არამედ სულ სხვა თემასთან დაკავშირებით. უკვე მეხუთე დღეა, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, მოძრაობა „ახალი რეალობისთვის“ თავმჯდომარე, მერაბ შათირიშვილი თანამოაზრეებთან ერთად, ქუთაისის პარლამენტის შენობიდან თბილისის პარლამენტის შენობის მიმართულებით ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების მოთხოვნით, აქცია-მსვლელობას მართავს.**

**მსგავსი მსვლელობა, საპარლამენტო არჩევნებამდე, ქუთაისიდან თბილისამდე, კერძოდ, გელათიდან სამებამდე, მერაბ შათირიშვილმა, სოსო ჯაჭვლიანთან და ლუკა კურტანიძესთან ერთად, ერთხელ უკვე მოაწყო ბიძინა ივანიშვილისთვის საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის მოთხოვნით. დღეს, შათირიშვილი, მსგავს მსვლელობას უკვე ყოფილი თანამებრძოლების გარეშე იმეორებს და ამ საკითხზე კურტანიძეს ჯერ კომენტარი არ გაუკეთებია...**



**— ბატონო ლუკა, თქვენი ყოფილი თანამებრძოლი, მერაბ შათირიშვილი, ვადამდელი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნის მოთხოვნით, იგივე გზას გადის, რაც მან თქვენთან ერთად ერთხელ უკვე გამოიარა. თქვენ, ამ საკითხთან დაკავშირებით არ დაგიფიქსირებიათ თქვენი პოზიცია, რატომ?**

– ჩვენ მაშინ ერისკაცს ვუჭერდით მხარს, ბიძინა ივანიშვილს უსამართლოდ ექცეოდა მაშინდელი ხელისუფლება. ამიტომ გადავწყვიტეთ, თუნდაც ჩვენი სიცოცხლის ფასად, გელათიდან სამებამდე 5-დღიანი მსვლელობა მოგვეწყო და მთელი ქვეყნისთვის გაგვეგებინებინა მისდამი მხარდაჭერა.

ბატონ მერაბს ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის წინა რეჟიმის დასრულებაში, თუმცა მეტი დაფიქრებაა საჭირო. ბატონ მერაბს ერთს ვურჩევდი – დიდ მოთმინებას. მე ვიცი მისი ბევრი გულისტკივილი. როდესაც ადამიანი ბრძოლაში ხარ, შესაძლოა, ბევრი რამ არ მოგწონდეს, მაგრამ გამარჯვებისთვის მთავარი დიდი მოთმინებაა. იმ გზით უნდა იარო, რა გზითაც სიმართლისთვის წლების განმავლობაში იბრძოდი და დამნახავი აუცილებლად დაინახავს შენს სამართლიან ბრძოლას.

**— ანუ თვლით, რომ ბატონ მერაბს მოთმინებამ უმტყუნა და მისი მოთხოვნა უსამართლოა?**

– ბატონი მერაბი ძალიან ბევრ რამეზე განაწყენდა, რა ეწყინა, ეს მასვე უნდა ჰკითხოთ. ამ ადამიანს ვაფასებ, ადამიანს, რომელსაც „ნაციონალური“ რეჟიმის დასრულებაში ძალიან დიდი წვლილი მიუძღვის, არც მოუთმენლობას, არც სხვა რამეს დავწამებ, მაგრამ ვურჩევდი, როგორც ძმას, როგორც მეგობარს, ბევრი რამ მოითმინოს. დიდი გამარჯვება დიდი მოთმინების გარეშე არ მიიღწევა.

**— რაც დღეს ხელისუფლებაში, ქვეყანაში ხდება, არის ის, რისთვისაც თქვენ იბრძოდით?**

– რა არის, იცით? ხშირად ოჯახს, სადაც რამდენიმე ადამიანი ცხოვრობს, იქ არსებული პრობლემების დასალაგებლად სჭირდება დიდი დრო. ამ მაგალითზე, წარმოიდგინეთ, 5-მილიონიან ქვეყანაში, პრობლემების მოგვარებას რამდენი დრო სჭირდება. ქვეყანაში ყველაფერი იმ სისწრაფით არ გვარდება, რასაც ჩვენი ემოცია ითხოვს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ემოციებს აყოლით შედეგი არ მიიღწევა, პირიქით, პრობლემებთან მიგვიყვანს. ჩვენ არ უნდა დავემგვანოთ ყოფილ რეჟიმს. ხშირად, იმდენი მოთმინება გვჭირდება, რომ ამის გამო, შესაძლოა, უსამართლოდ ჩაგვთვალოთ.

**— როდემდე უნდა ითმინოს ხალხმა ისეთი პარლამენტი, რომელიც, მაშინ, როდესაც ქვეყანა თავზე გვემხობა, საქმიანობას ბუსუსებიანი პრეზერვატივის საკითხთან დაკავშირებული კანონპროექტის განხილვით იწყებს. როცა, პარლამენტში წინა რეჟიმის შემოქმედი დამნაშავეები და ბიძინა ივანიშვილის ხათრით არჩეული უსაქმურები და უვიცები სხედან?**

– მოთმინებასაც აქვს რაღაც ზღვარი, მაგრამ ამაზე მაღლა უნდა დავდგეთ. მართალია, რთულია, იმ ადამიანების მოსმენა, რომლებიც დამნაშავე რეჟიმს აძლიერებდნენ, დღეს კი, რაღაც ხრიკებით, პარლამენტში არიან მოხვედრილი და ხალხს მათი მოსმენა უწევთ. იგივე ადამიანები, დღეს შეურაცხყოფას აყენებენ იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემთვის ძვირფასები არიან. ჩვენთვის ძალიან ძნელია ამ ყველაფრის მოთმენა, დიდი ნერვების ფასად გვიჯდება, მაგრამ ასეა საჭირო. ემოციით არ უნდა გავუსწორდეთ ერთმანეთს.

**— ბატონო ლუკა, თქვენ, წლების განმავლობაში, „ნაციონალებს“ ებრძოდით, გაწამეს კიდეც, დღეს ეს ხალხი დაუსჯელი დადის და ამაზე ხმა არ ამოგიღიათ, ჩუმად ხართ. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ ხელისუფლების კრიტიკა ხმამაღლა დაიწყოთ? თქვენი სიჩუმე, საზოგადოებაში აჩენს მოსაზრებას, რომ ყოფილი ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძოდით მხოლოდ იმიტომ, რომ თანამდებობა მიგეღოთ. დღეს რომ გამოსვლები დაიწყოს, მხოლოდ იმიტომ ხომ არ შეიკავებთ თავს, რომ ჩინოვნიკი ხართ?**

– არ ვარ ჩუმად. ჩუმად რომ ვიყო, ამდენსაც არ ვილაპარაკებდი. დღეს მე ამ ყველაფერს ვლაპარაკობ და არ მეშინია, რომ უკან ცუდად დამიბრუნდება, თან ძალიან მწარედ. არასოდეს არ გავჩუმდები, მოთმინებასაც აქვს თავისი დრო. ზოგს მალე ევსება მოთმინების ფიალა, ზოგს – გვიან. მე მჯერა, რომ ყველა დასასჯელი დაისჯება, თორემ არანაირი თანამდებობა და პრივილეგია არ არის ჩემთვის იმ ტკივილის შემავსებელი, რაც ჩემს ერთან ერთად გამოვიარე.

მე მაქვს აღებული ვალდებულება, რომ ვაკეთო საქმე, რომელიც მანდეს და ამის ღირსეულად შესრულება იმაზე მეტია, ვიდრე სხვა ნებისმიერი რამ. როცა მე სხვა მხრივ უნდა მეაქტიურა, მათ შორის სიცოცხლის ფასად, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად გავაკეთე და ბედნიერი ვარ, რომ ვრჩები იმ ადამიანის თანამებრძოლად, რომელსაც ბიძინა ივანიშვილი ჰქვია.

ჩვენ გვაქვს უფლება, რომ სადაც არ უნდა ვიყოთ, ჩვენი თავისუფალი აზრი ვთქვათ. მე არც ერთი თანამდებობა არ მზღუდავს ისე, რომ ჩემი აზრი ვერ გამოვთქვა. მე რომ არ მწამდეს იმის, რასაც ვლაპარაკობ, არ ვილაპარაკებდი და ღმერთია მოწმე, რომ რასაც ვლაპარაკობ იმის მწამს. მე მწამს, იმ ადამიანის, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში გაუგონარი რამ შეძლო და დღესაც აგრძელებს ამას და ამას ვუფრთხილდები. ეს ადამიანი არის ლუკა კურტანიძის სულის ამოძახილი და სიცოცხლის ფასად დავიცავ.

**— რამე ვალდებულება გაქვთ?**

– სიმართლეა ვალდებულება, სიმართლე, რომელიც არ არის კარიერას ამოფარებული. გესაუბრებით ალალი ადამიანი, რომელსაც არ ზღუდავს თანამდებობა.

**P.S. „ალია“ შეეცადა, პირველი მსვლელობის მესამე წევრის, უმრავლესობის დეპუტატ სოსო ჯაჭვლიანის აზრიც მოესმინა მერაბ შათირიშვილის მსვლელობასთან დაკავშირებით, თუმცა, როგორც გავარკვიეთ, ის საზღვარგარეთ იმყოფება.**

დიანა ლიპარტელიანი
571 80 40 80

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ნამორაძის პროცესზე სასწრაფო დახმარება გამოიძახეს



ბიზნესმენ დავით კოდუას ცემის ფაქტზე დაკავებული ნოშრევან ნამორაძის სასამართლო პროცესი თბილისის საქალაქო სასამართლოში დაძაბულობის ფონზე წარიმართა. პროცესი დატოვეს დავით კოდუას დედა ლაურა ლაჭავამ და ძმამ გიორგი კოდუამ. მათი გაღიზიანება ნამორაძის დაცვის მხარის მიერ ნამორაძისთვის აღმკვეთი ღონისძიების შეცვლისა და მისი განთავისუფლების შუამდგომლობის დაყენებამ გამოიწვია.

ადვოკატის შუამდგომლობის გამოცხადების შემდეგ, ლაურა ლაჭავა შეუძლოდ გახდა. მის დასახმარებლად საქალაქო სასამართლოში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადა გამოიძახეს. ის სასწრაფო დახმარების ბრიგადამ საავადმყოფოში გადაიყვანა.

პროცესის დაწყების წინ ნოშრევან ნამორაძის ახლობლებსა და ლაურა ლაჭავას შორის შელაპარაკებაც მოხდა. (ინტერპრესნიუსი)

## საქართველოში კვირის ბოლომდე არამდგრადი ამინდები იქნება

საქართველოს მთელ ტერიტორიაზე კვირის ბოლომდე არამდგრადი ამინდები შენარჩუნდება. გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის, დოდო გვაზავას განცხადებით, აღმოსავლეთ საქართველოში 19 სექტემბერს მაქსიმალური ტემპერატურა 19-20 გრადუსი იქნება, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 28-30 გრადუსი.

„20-21 სექტემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არამდგრადი ამინდები იქნება. დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ძლიერი წვიმა და ელჭექი, ტემპერატურა 24 გრადუსამდე დაიწევს“, – განაცხადა გვაზავამ.



რაც შეეხება დედაქალაქს, სააგენტოს ინფორმაციით, თბილისში 20-21 სექტემბერს ტემპერატურა მცირედით მოიმატებს, თუმცა მოსალოდნელია მცირე წვიმა. (ინტერპრესნიუსი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მორიგი გარჩევები პარლამენტში



პარლამენტში მიმდინარე პლენარულ სხდომას პოლიტიკურ ოპონენტებს შორის სიტყვიერი გარჩევების გარეშე არც ამჯერად ჩაუვლია.

ოპონენტების გაღიზიანება ამჯერად დეპუტატ გიგა ბუკიას სიტყვამ გამოიწვია. დეპუტატმა ბარბარე რაფალიანცის გარდაცვალების საქმეზე პარლამენტში საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხის განხილვისას განაცხადა, რომ, თუ დანაშაული „ნაციონალების“ მმართველობის დროს მოხდა და თუ მათ აღნიშნული საქმის გამოძიება სურდათ, ამისთვის დრო ჰქონდათ.

ბუკიამ თავისი გამოსვლის დასრულების შემდეგ საუბარი უმცირესობის წევრ პავლე კუბლაშვილთან განაგრძო. დაპირისპირებაც ამ დროს მოხდა. ბუკია საუბრის დეტალებს არ ახმაურებს და აცხადებს, რომ ოპონენტები უბრალოდ საუბრობდნენ.

მომხდარის შესახებ „ნაციონალი“ დეპუტატი ხათუნა გოგორიშვილი შემდეგს ჰყვება: „პავლე და გიგა გამოვიდნენ და წყნარად საუბრობდნენ აღნიშნულ თემაზე. ამ დროს გამოვარდა პაატა კვიჟინაძე და მიმართა, გიგასთან რამე არ შეგეშალოსო. როგორც ჩანს, „ქართულ ოცნებაში“ თვითგადარჩენის ეტაპი დაიწყო“. – ამბობს გოგორიშვილი. (news.ge)

# `nacionalebma~ kidev erTi `enjeo~ Seqmnes

„ნაციონალები“ კიდევ ერთ არასამთავრობო ორგანიზაციას ქმნიან, რომელსაც „სამართლის თაობა“ ერქმევა. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაციაში „ნაცმოძრაობის“ წევრი არაერთი ისეთი ახალგაზრდაა, რომლებიც ბევრჯერ ყოფილან შემჩნეული სხვადასხვა აქციებზე პროვოკაციების მოწყობაში, გამუდმებით ატარებდნენ მერაბიშვილის, სააკაშვილის, უგულავას მხარდამჭერ შეკრებებს. მათი უმრავლესობა „თავისუფალი ზონის“ წევრი იყო.

რატომ გამოეყვნენ ამ ორგანიზაციას, რა გეგმები აქვთ ერთი შეხედვით უწყინარი სახელის მიღმა და რატომ შეიქმნა ეს ორგანიზაცია მაინცდამაინც ახლა?

**ამ კითხვებით „ალიამ“ ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელს, გირშელ ბართაიას მიმართა:**

**— გირშელ, რატომ დატოვეთ „თავისუფალი ზონა“ და ახალი ორგანიზაციის შექმნა მაინცდამაინც ახლა რატომ გადაწყვიტეთ, ხომ არ მოხდა თქვენს შორის განხეთქილება?**

– „სამართლის თაობა“ „თავისუფალი ზონისგან“ აბსოლუტურად განსხვავებული სტრუქტურის, შინაარსისა და მიზნების არასამთავრობო ორგანიზაციაა. ამ სექტორში გაერთიანებული არიან ინტელექტუალი, პროფესიონალი ადამიანები და სამუშაო პროცესი წარიმართება სხვადასხვა პროექტების სახით: თვითმმართველობის განვითარება, სოფლის, თემის, რაიონული ცენტრის დონეზე. ნაციონალური უმცირესობების აქტიური ჩართულობა მათთან დაკავშირებულ პრობლემებში.

**— დამარწმუნე, რომ ეს პოლიტიკური მიზნისთვის შექმნილი ორგანიზაცია არაა...**

– არასწორად უდგები საკითხს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ არასამთავრობო ორგანიზაციას „თავისუფალ ზონასთან“ არანაირი კავშირი არ აქვს და არც იმ ადამიანებს, ვისთან ერთადაც მე ეს არასამთავრობო ორგანიზაცია შევქმენი.

**— ვინ გაფინანსებთ და რისთვის ემზადებით?**

– რაც შეეხება დაფინანსებას, იმ თემებთან დაკავშირებით, რომლებიც უკვე ჩამოგითვალე, ჩვენ უკვე ვმუშაობთ საგრანტო პროექტებზე და პრობლემების აქტუალურობიდან გამომდინარე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების დაფინანსების დიდი იმედი გვაქვს. ორგანიზაციის სტრუქტურა ემყარება თანაბარუფლებიანი და თანაბარსტატუსიანი წევრების მუშაობის პრინციპს. და თითოეული მათგანი საკუთარი პროექტით იქნება წარმოდგენილი, რომელსაც თავად უხელმძღვანელებს.

**— მითხრეს, პარლამენტარი დავით საყვარელიძე იქნება ამ ორგანიზაციის არაფორმალური მმართველიო...**

– მე ვერ გიპასუხებ, ვინ რას ამბობს...

**რა დგას რეალურად ამ ორგანიზაციის მიღმა? ამ საკითხზე „ალიას“ „თავისუფალი თაობის“ თანადამფუძნებელი, ანი დარსალია ესაუბრა:**


ანი დარსალია

– „ნაციონალურ მოძრაობას“ სხვა გზა არ დარჩა, უნდა, რომ საქართველოში შექმნან ისეთი სიტუაცია, რომ თითქოს არსებობენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მათ მხარს უჭერენ. ესენი არიან ინტერესების გამტარებელი ლეკვები. მაქვს ინფორმაცია, რომ ამ ახალ ორგანიზაციას აფუძნებს „ნაციონალებთან“ დაახლოებული ერთ-ერთი ბიზნესმენი. ინფორმაცია სრულად არ მაქვს ჯერ გადამოწმებული, ამიტომ გვარს ახლა ვერ დავასახელებ. ყველაზე მთავარი ისაა, რომ იმდენად საცოდავები არიან ესენი, უნდათ სიტუაცია განმუხტონ და თქვან, რომ არასამთავრობოს ქმნიან და არა პოლიტიკურ ორგანიზაციას. „ნაციონალებს“ სჭირდებათ ბევრი მართული არასამთავრობო ორგანიზაცია, რადგან საქართველოში ფონის შესაქმნელად სჭირდებათ. ესენი არიან იგივე „ნაციონალები“, ერთმანეთზე კუდები აქვთ გადადებული, იდეოლოგიურად ერთნი არიან და ერთი ფინანსები აქვთ.


გირშელ ბართაია

**— ძირითადი ბირთვი „თავისუფალი ზონიდან“ ყოფილა, ესენიც პროვოკაციებისთვის ემზადებიან?**

– ესენი იბრძვიან მხოლოდ ერთი იდეისთვის, მათ უნდა მოაწყონ სახელმწიფო გადატრიალება, დააბრუნონ „ნაციონალები“ ხელისუფლებაში, გამოუშვან ციხიდან მერაბიშვილი, უგულავა... ვერ ინელებენ, რომ წააბრძანეს ხელისუფლებიდან და უნდათ, ყველანაირი გზით დაბრუნდნენ ხელისუფლებაში. ამიტომ აპირებენ დესტაბილიზაციას.

**— ადრე „ალია“ წერდა, რომ „ნაციონალები“ შემოდგომისთვის აპირებდნენ „ენჯეოების“ შექმნას. დაზუსტებული ინფორმაცია ხომ არ გაქვთ, ახლო მომავალში კიდევ აპირებენ ორგანიზაციების შექმნას?**

– დაზუსტებით არ ვიცი, მაგრამ არაა გამორიცხული, რადგან ეს მათ სჭირდებათ. ნუ ირჯებიან ტყუილად, ჩვენთვის არ აქვს მათ რაოდენობას მნიშვნელობა, მოწამლული ახალგაზრდების, მარიონეტების ჯგუფები არიან. „ალიაში“ დაბეჭდილი ლადო სადღობელაშვილის გუშინდელი განცხადების შემდეგ წამოვიდა მუქარები მათგან, რომ თურმე არ უნდა შევეჭიდოთ მათ, თორემ გაგვანადგურებენ, ხელისუფლებაში აუცილებლად დაბრუნდებიან და მონაგონი იქნება ყველაფერი, პირველი ჩვენ გაგვისწორდებიან. პირადად დაგვემუქრა „თავისუფალზონელი“ სალომე მახარაშვილი. ჩვენ სუფთა ხელებით ვიბრძოდით „ნაციონალების“ წინააღმდეგ და ამათ არ ავარევინებთ ქვეყანას. ჩვენი ქვეყანა, გვინდა, უკეთესი იყოს და ვაფრთხილებთ მათ, არავის მივცემთ უფლებას, არეულობა მოაწყონ. ჩვენზე წამოსული აგრესია ვერ შეგვაშინებს.

**— ინფორმირებული ხართ იმ გეგმების შესახებ, რასაც „თავისუფალი ზონა“ და ეს ორგანიზაცია აპირებენ?**

– დიახ, ამ პატარა „კიტოვანებს“ ყველანაირ წინააღმდეგობას გავუწევთ, რადგან ესენი არიან დესტრუქციული ძალები. აქვე შევნიშნავთ, რომ ამაოდ ცდილობენ ჩვენს დაკავშირებას რუსეთთან, მიგვაჩნია, რომ რუსეთი ოკუპანტია და მისგან ვერ ვიქნებით მართული. ჩვენს უკან დგას ხალხი და სამშობლოს სიყვარული, ის ეროვნული ფასეულობები, რომლის გადაჯიშება უნდოდათ მუტანტ თარგამაძეს და ბოკერიას. ვიდგებით სულ წინა პლანზე და მიგვაჩნია, რომ ქართველი ხალხია ჩვენი მმართველი და დამკვეთი. ჯოჯოხეთი უნდა ჰქონდეთ იმ „ნაციონალებს“, რა ჯოჯოხეთიც გვქონდა ჩვენ 9 წლის მანძილზე.

ჟანა ასანიძე

558 00 16 16

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## პუტინი ევროპაში ჯარების შეყვანით იმუქრება



გერმანული გამოცემა **Süddeutsche Zeitung**-ის ინფორმაციით, რუსეთის პრეზიდენტი ვარშავაში, ვილნიუსსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში ჯარების შეყვანით იმუქრება. ინფორმაციის თანახმად, ამის შესახებ პუტინმა უკრაინის პრეზიდენტთან საუბრისას განაცხადა. პეტრო პოროშენკომ ამ საუბრის შინაარსი ევროკომისიის პრეზიდენტ ჟოზე მანუელ ბაროზოს გადასცა. „რომ მოვინდომო, ორ დღეში ჯარს არა მხოლოდ კიევში, არამედ რიგაში, ვილნიუსში, ტალინში, ვარშავასა და ბუქარესტში შევიყვან“, – განუცხადა პუტინმა პოროშენკოს.

გერმანული გამოცემის ცნობით, პუტინმა პოროშენკოს ურჩია „ევროკავშირის დიდი იმედი არ ჰქონდეს“, რადგან, სურვილის შემთხვევაში, მას ევროპული საბჭოს დონეზე გადაწყვეტილებების დაბლოკვა შეუძლია. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ობამა პოროშენკოს მშვიდობისკენ მოუწოდებს



თეთრი სახლის განცხადებით, აშშ-ის პრეზიდენტი უკრაინელ კოლეგასთან შეხვედრის დროს მოუწოდებს მას, უკრაინაში არსებული სიტუაცია მშვიდობიანი გზით მოაგვაროს.

როგორც თეთრი სახლის პრესმდივანმა ჯოშ ერნესტმა აღნიშნა, აშშ-ში პოროშენკოს ვიზიტი იმის დასტური გახდება, რომ შეერთებული შტატები უკრაინელ ხალხს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვისთვის ბრძოლაში მომავალშიც დაეხმარება.

„როგორც მოსალოდნელია, პრეზიდენტი ობამა კვლავ მოუწოდებს პრეზიდენტ პოროშენკოს, უკრაინის მთავრობასა და პრორუს სეპარატისტებს შორის არსებული დაპირისპირება დიპლომატიური გზით მოაგვაროს“. – აღნიშნა ერნესტმა. (ფრონტნიუსი)



## ოსი და რუსი სამხედროები ერთობლივ სწავლებას ატარებენ

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე სამხედრო სწავლება მიმდინარეობს, რომელშიც ე.წ. თავდაცვის სამინისტროსა და რუსული მე-4 სამხედრო ბაზის ქვედანაყოფები მონაწილეობენ.

როგორც ე.წ. ძალოვან უწყებაში განაცხადეს, „სწავლება რამდენიმე პოლიგონზე, მათ შორის „ძარწემზე“, ქვედანაყოფების თავსებადობის გაზრდის მიზნით“ ტარდება. (ფრონტნიუსი)



– აბა, კოტე, რას შვრები, როგორ ხარ?

– არა მიშავს. როცა ცუდად ვარ, სასწრაფოს მივყავარ, როცა კარგად – პოლიციას!..

*****

– სასტიკად ვეწინააღმდეგები ლოზუნგს: „საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის!“ დაე, სხვებიც დაიტანჯონ!!!

*****

– ღვინო უფრო მეტად გიყვარს თუ ქალები?

– გამოშვების წელს გააჩნია...

*****

წითელქუდამ ბებიას შეშინებულმა უჩურჩულა:

– ბებიკო! შენს საწოლში საშინელი რუხი მგელი წევს!..

– ვისთვის საშინელი მგელი... ვისთვის უბრალოდ მგელუკა...

*****

– ეეჰ, არ უნდა ამერია გუშინ ლუდი და არაყი, რა!

– რატომ, თავი გტკივა და კვდები, არა?!

– არა, ბატონო – დღეს აღარც ლუდი მაქვს და აღარც არაყი!

*****

მამა შვილს ძილის წინ ზღაპარს უკითხავს:

– გზაზე დათვები მიდიოდნენ ველოსიპედებით, მათ ჩექმებიანი კატა მიჰყვებოდათ, სულ ბოლოს კი საჰაერო ბუშტით კოლოები მიფრინავდნენ...

– აუ, მამი, გამოტყდი, რა გაქვს მოწეული?

*****



მიმდინარეობს ცირკის წარმოდგენა. გამოდიან გიმნასტები. ხმა დარბაზიდან:

– ოჰოჰო, გაივსო პიდარასტებით აქაურობა – ჩაუცვამთ ქალების კოლგოტები და იტყლარწებიან უშნოდ!..

კონფერანსიე:

– თქვენს წინაშე წარდგებიან ჯამბაზები!..

ხმა დარბაზიდან:

– აჰა, მორიგი პიდარასტები – შეუღებავთ ტუჩები და იმანჭებიან უშნოდ!..

კონფერანსიე:

– ახლა კი სასიკვდილო ნომერი: ნახტომი შენობის ყველაზე მაღალი წერტილიდან წყლით სავსე ვედროში!..

ხმა დარბაზიდან:

– სად მიმათრევთ, თქვენ პიდარასტებო, თავი დამანებეთ!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატები*

# ყველაზე საინტერესო ფაქტები

– კალიფორნიელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ის, ვინც კვირაში ერთხელ მაინც ხუთ ცალ კაკალს ჭამს, 7 წლით მეტხანს ცოცხლობს, ვიდრე დანარჩენები. სიცოცხლის გახანგრ-



ძლივების საიდუმლო ასეთია: კაკალი შეიცავს ისეთ ნივთიერებებს, რომელიც გულ-სისხლძარღვებზე დადებით გავლენას ახდენს და მათ ქოლესტერინის დამღუპველი გავლენისგან იცავს.

– ცოცხალი არსებებიდან მხოლოდ ადამიანსა და კოალას აქვთ კიდურების უნიკალური ანაბეჭდები. ამასთანავე, კოალას ანაბეჭდების ადამიანისგან გამორჩევა მხოლოდ პროფესიონალ კრიმინალისტებს შეუძლიათ.

– იმ შემთხვევაშიც კი, როცა დიდი ბრიტანეთის პრინცებს უილიამსა და ჩარლზს მოგზაურობის ერთი და იგივე მარშრუტი აქვთ, ერთსა და იმავე თვითმფრინავში არასოდეს სხდებიან. ამ უცნაურობის მიზეზი ის გახლავთ, რომ კატასტროფის ან ვთქვათ, ტერაქტის შემთხვევაში, სამეფო ორივე მემკვიდრის გარეშე არ დარჩეს.

– ალბათ, ბევრმა არ იცის, რომ საუდის არაბეთში არც ერთი მდინარე არ არსებობს.

– მსოფლიოში ყველაზე მაღალი ადამიანის წოდება სრულიად დამსახურებულად უკრაინელ ლეონიდ სტადნიუკს ეკუთვნის. მისი სიმაღლე 2 მეტრი და 53 სანტიმეტრია. ასპარეზზე სტანდიუკის გამოჩენამდე გინესის რეკორდების წიგნში ტუნისელი რადხუან ჩარბიბა იყო აღნიშნული, რომელიც უკრაინელ კონკურენტზე 17 სანტიმეტრით დაბალია.

– ძველი ბერძენი ქალები თავიანთ ასაკს ითვლიდნენ არა დაბადების, არამედ გათხოვების დღის შემდეგ. ასეთი ნაბიჯით ისინი იმის დემონსტრირებას ახდენდნენ, რომ გაუთხოვრად ცხოვრებას არავითარი აზრი არ ჰქონდა.

– ფრანგ სპეციალისტებს თუ დავუჯერებთ, დილაადრიან ამდგარ ადამიანს ვაშლი უფრო აფხიზლებს, ვიდრე ყავა.

– გულის მდებარეობა როგორც წესი, ადამიანის აღნაგობაზეა დამოკიდებული. კერძოდ, მაღლებისა და გამხდრების გული თითქმის ვერტიკალურ მდგომარეობაშია, დაბლებისა და მსუქნების – თითქმის ჰორიზონტალურში, სტანდარტული ფიგურის მქონეების კი – 40 გრადუსითაა



დახრილი.

– მეცნიერების აზრით, ადამიანს თავისი კლასელების სახელები და სახეები სკოლის დამთავრებიდან 22 წლის შემდეგ ავიწყდება.

– არაბული ციფრები არაბებს სულაც არ გამოუგონიათ. სინამდვილეში, ციფრების სამშობლო ინდოეთია. უბრალოდ, არაბებმა რიცხვების აღნიშვნის მეთოდი გადმოიღეს. ეს იყო და ეს.

– ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, სინამდვილეში ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი, რომლის სრული გვარ-სახელიც, სხვათა შორის, ჟღერს, როგორც იოჰან ქრიზოსტომ ვოლფგანგ თეოფილ მოცარტი, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბეში სულაც არ ცხოვრობდა. არსებობს დამამტკიცებელი საბუთები იმისა, რომ დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი საათში 2 გულდენს იღებდა. შედარებისთვის, მისი მოსამსახურის ხელფასი წელიწადში 12 გულდენი იყო. გარდა ამისა, კონცერტებზე გამოსვლის სანაცვლოდ, ის საშუალოდ 1000 გულდენს ითხოვდა. მეორე საკითხია, რომ მოცარტმა ფულის ხელმომჭირნედ ხარჯვა არ იცოდა. სწორედ ამიტომ იყო, რომ მის ქვრივს ქმრის დასამარხი ფული არ ჰქონდა და ის საერთო საფლავში მხოლოდ ამიტომ დაიკრძალა.

– ზოგიერთი ისტორიკოსი (ძირითადად, რუსი ეროვნების) ამტკიცებს, რომ ნაპოლეონმა ომი რუსეთის წინააღმდეგ გაუსაძლისი ყინვების გამო სულაც არ წააგო. აღნიშნული მოსაზრების მხარდამჭერები ამბობენ, რომ არსებობს ზუსტი მონაცემები, რომელთა თანახმადაც, როცა ნაპოლეონმა უკან დახევა დაიწყო, ჰაერის ტემპერატურა +7–+10 გრადუსს შეადგენდა. ნაპოლეონის დამარცხების ერთადერთ მიზეზად მისი სტრატეგიული შეცდომები სახელდება.

– დამარცხებული მტრისთვის სკალპის ახდა ინდიელების გამოგონილი სულაც არ ყოფილა. ასეთი წესი სკითებს და დასავლეთ ციმბირის ხალხებს ჰქონიათ. აი, ამერიკელი ინდიელები კი ასეთი სისასტიკით სულაც არ გამოირჩეოდნენ. უფრო მეტიც, ზოგიერთი ისტორიკოსი ვარაუდობს, რომ ინდიელებმა მტრისთვის სკალპის ახდა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც მათ ტერიტორიებზე თეთრკანიანები გამოჩნდნენ. სწორედ თეთრ და არა წითელკანიანებს დაუწყიათ სკალპებზე ნადირობა, რადგან ჯილდოს მისაღებად მათ აუცილებლად დამამტკიცებელი საბუთი უნდა წარედგინათ.

– მცდარია მოსაზრება, თითქოს თავისუფლების ქანდაკება ნიუ-იორკში იყოს აღმართული. თავისუფლების კუნძული გეოგრაფიულად სინამდვილეში ნიუ-ჯერსის შტატს მიეკუთვნება.

– ჩინელი მოსამართლეებისთვის უკვე მე-15 საუკუნეში იყო ცნობილი დამუქებულ მინიანი სათვალე, რომელსაც ისინი იმის გამო იკეთებდნენ, რომ დამნაშავის ან ბრალდების მხარის მიმართ მათი განწყობა არავის შეემჩნია.

– სხვადასხვა ფერის ნათებებს, რომელსაც თვალების დაზელვის შემდეგ ხედავთ, ფოსფენები ეწოდება.

– კანადაში იმაზე მეტი ტბაა, ვიდრე ყველა სხვა ქვეყანაში ერთად აღებული.

– თუკი სკოლაში გავლილი ფიზიკის კურსიდან რამე მაინც გახსოვთ, გეცოდინებათ, რომ არსებობს რიხტერის ტემპერატურული შკალა. ჰოდა, აი, ამ შკალის ავტორი ჩარლზ რიხტერი თავგადაკლული ნუდისტი იყო, რის გამოც მას ცოლიც კი გაშორდა.

– 1984 წელს შოტლანდიაში ყველაზე პატარა დინოზავრის კვალი აღმოაჩინეს. ეს ურჩხული თავისი ზომებით ბეღურას არაფრით აღემატებოდა.



– 1557 წელს ევროპელი ექიმები პაციენტებს ურჩევდნენ, პირის ღრუს უსიამოვნო სუნის გასაქრობად რაც შეიძლება ბევრი სიგარეტი მოეწიათ.

– ბიკინის პრეზენტაცია 1946 წელს გაიმართა. სიახლე იმდენად სკანდალური აღმოჩნდა, რომ მისი საზოგადოებისთვის წარდგენაზე ცნობილი პარიზელი სტრიპტიზიორი მიშელინ ბერნარდინიც კი ძლივს დაითანხმეს.

**uralweb.ru**

sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso ambebi... sainteresso

## „მამაკაცური ძალის“ აღდგენის საუკეთესო საშუალებად... წრუწუნების წვნიანი დაასახელეს



უცბად გადავხედოთ სექსოლოგების ძველ რჩევებს, რომელთა მიხედვითაც, მამაკაცის პოტენციის ასამაღლებლად საუკეთესო პროდუქტებია: არაჟანი, ნიგოზი, აჯიკა, ბანანი და ვინ მოსთვლის, კიდევ რა, მაგრამ წრუწუნებისგან (აუცილებელი პირობა ყოფილა ახალშობილი მღრღნელების მოხარშვა) დამზადებული წვნიანი მართლაც სიახლეა, თანაც, შემზარავი და შემაძრწუნებელი. გამოდის, რომ ვისაც სექსუალური ძალის აღდგენა სჭირდება, ჯერ „ორსული“ ვირთხა უნდა დაიჭიროს, ელოდოს როდის „მოილოგინებს“, შემდეგ თვალებგაუხელელ წრუწუნებს ქვაბში უნდა უკრას თავი და ბოლოს საწოლში ნამდვილი ქარბორბალა დაატრიალოს.

როგორც ირკვევა, ეს საზიზღარი „პრეპარატი“ კორეაში გამოიგონეს, სადაც ახალშობილი წრუწუნებისგან არა მხოლოდ „სუპჩიკს“, არამედ ღვინოსაც ამზადებენ, თუმცა ამ უკანასკნელის, როგორც ყველაზე საზიზღარი ალკოჰოლის შესახებ, ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში უკვე მოყოლილი გვაქვს.



ვინც წრუწუნებისგან მომზადებული წვნიანი გასინჯა, ამბობს, რომ კერძს საშინელი სუნი და გემო აქვს, თუმცა სამაგიეროდ, სექსუალური ძალა მატულობს ისე, მტრისას და ავისას.

მღრღნელების გარდა, კორეელები ლიბიდოს სტიმულირებას ბაყაყების დახმარებითაც ცდილობენ, „პრეპარატს“ კი დამკვეთის თვალწინ ამზადებენ. ბაყაყს კანს აცლიან, დარჩენილ მასას ბლენდერში ათავსებენ და იქამდე თქვეფენ, სანამ ხორცი და ძვლები სითხედ არ იქცევა, შემდეგ კი „პაციენტს“ ამ საზიზღრობას ასმევენ.

მიიჩნევა, რომ ასეთი სასმელი არა მხოლოდ სექსუალურ პოტენციას ამაღლებს, არამედ დადებითად მოქმედებს, მაგალითად, სასუნთქ ორგანოებზე, სისხლძარღვებზე და ასე შემდეგ.

**raut.ru**

## პორნომაგნატი უფასო სექს-სასტუმროებს მთელ მსოფლიოში ააშენებს



მართალია, ფულის გადახდა მართლაც არავის მოუწევს, მაგრამ ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დასვენების სანაცვლოდ, გარკვეული საზღაურის გადახდა მაინც იქნება საჭირო.

როგორც ირკვევა, შვედი პორნომაგნატი ბერტ მილტონ უმცროსი ხუთვარსკვლავიანი სასტუმროების საერთაშორისო ქსელის შექმნას აპირებს, რომლებშიც უფასოდ დასვენება კი იქნება შესაძლებელი, მაგრამ აუცილებელი პირობაა, რომ ნომრებში შესულმა ადამიანებმა სექსუალური აქტები ვიდეოკამერებზე აღბეჭდონ.

იდეის ავტორის თქმით, სექსუალური ვიდეოები შემდგომში აუცილებლად ინტერნეტით გავრცელდება. ამდენად, სანამ დამსვენებლები ფეშენებელურ სასტუმროში შევლენ, მათ პირობებს აუცილებლად წინასწარ გააცნობენ. ხოლო ვინც სექსით არ დაკავდება, მას ნომრიდან ახსნა-განმარტებების გარეშე გააგდებენ.

საინტერესოა, რომ ამ პროექტის წყალობით, შვედი პორნომაგნატი წელიწადში დაახლოებით 44 მილიონი აშშ დოლარის მიღებას ვარაუდობს.

პირველ ეტაპზე ბერტ მილტონ უმცროსის სექსსასტუმროები ბარსელონაში აშენდება, შემდგომში კი დანარჩენ მსოფლიოსაც მოიცავს.

**plusworld.ru**

მიხეილ სახვაძე 599 93-28-03

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. საწვავი სითხე
2. „დეკამერონის“ ავტორი
3. ქალ-ვაჟის ქართული ცეკვა
4. იაპონური თაიგული
5. რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
6. აეროდრომი ქუთაისთან
7. „კარმენის“ კომპოზიტორი
8. ოთახის დგამი
9. მუსიკალური გასართობი ხმის აყოლებით
10. მკესი, დამოსცემს ხმას
11. ცხვრის ნაშიერი
12. მხატვარი ... მოდილიანი
13. თვითმფრინავების ასაფრენი მოედანი
14. მიწის სათხრელი იარაღი
15. ვიტამინების ნაკლებობა
16. ამერიკული მულტსერიალი
17. მსახიობი სიუზენ ...
18. ტყავი, დერმა
19. მუხის ნაყოფი
20. შანსონიე შარლ ...
21. დეტექტივი ერკიულ ...
22. მსუბუქი ვულკანური ქანი
23. ესპანელი დიდებულ-ლი
24. ადამიანის მსგავსი მაიმუნი
25. ტაილანდის ძველი სახელწოდება
26. მომღერალი დაიანა ...
27. მსოფლმხედველობა
28. ზღვის წვრილი თევზი
29. ამერიკული კეთბურთი
30. მოკარნახე თეატრში
31. მხ/ფ „კინგ-კონგი“ მაიმუნი
32. მულტფილმი „ბატი ...“
33. იაკობ გოგებაშვილის სოფელი
34. ჰემოგლობინის შემცველი სითხე
35. მხ/ფ „არ აცდინო ...“
36. ფორტეპიანო, ანუ ...
37. მსახიობი ... გრიფიტი
38. ... ჰო, ... არა
39. ჟაკ-... კუსტო
40. მოკრივე ... ჰოლიფილდი
41. იალქანი
42. ყელის ტკივილი
43. ესპანური კინოაკადემიის ჯილდო
44. მწერალი ჰაინრიხ ...
45. „ბითლზი“ ჯონ ...
46. ნადირობა აფრიკაში
47. მხატვარი ედგარ ...
48. მხატვარი კლოდ ...
49. ლუარსაბ და ... თათქარიძეები
50. მზის გამოსხივება, ანუ ...
51. ბასკური წინააღმდეგობის ორგანიზ.
52. მხ/ფ „... სრული სვლით“
53. ყინულის „მთა“ ოკეანეში
54. თვალის ექიმი
55. რძის პროდუქტი
56. ქიაჩელი. „... ბიგვა“
57. „სოლომონ ... მეჯღანუაშვილი“
58. მწერალი ჭაბუა ...
59. კოფეინიანი სასმელი
60. თევზი ელექტრული მუხტით
61. ნიგვზის საწნეხი
62. სამშენებლო მასალა
63. ... ხაჩატურიანი
64. მოჭადრაკე გარი ...
65. რგოლებიანი პლანეტა
66. ერთგვარი ხოჭო
67. ... ლოლობრიჯიდა
68. მომღერალი ... გაგა
69. „ჩიოჩიო-სანი“ მადამ ...
70. ქალაქი ინდოეთში
71. უსინათლოთა ანბანი
72. ფიქრები მომავალზე
73. ბოსტნეული
74. გადამეტებული სიმდიდ-რე
75. პოეტი მომღერალი აღმ. ქვეყნებში
76. გადაბრუნებული ასო დელტა
77. სრუტე. მდებარეობს სტამბოლი
78. რამაზ გიორგობიანი ფილმში
79. ჯუჯა ჟირაფი
80. მსახიობი ... კლუნი
81. დონ კიხოტი და სანჩო ...
82. შვიდი ნოტის თანმიმდევრობა
83. შოტლანდიური ნაგაზი
84. რეზინის ფეხსაცმელი
85. ორივე ყბა ერთად
86. რეჟისორი ... რიჩი
87. პარკოსანი მცენარე
88. ნიკო ლომოურის მოთხრობა
89. იაფფასიანი სამკაული
90. შიში, რომელიც ადამიანებს მითიური პანის დანახვისას ეუფლებოდათ
91. ჰემინგუეი. „... თოვლიანი მთა“
92. ერთგვარი კატერი
93. რეჟისორი უილიამ ...
94. „ბიძია თომას ქოხი“. ავტორი ჰარიეტ ბიჩერ ...
95. ამსტერდამის საფეხბურთო კლუბი
96. ქიმიური ელემენტი
97. ოჯახი (ძვ.)
98. „ბითლზი“ რინგო ...
99. მხ/ფ „ზოლიანი ...“
100. ცხარე სანელებელი
101. სიტყვაკოდი
102. თხელი ტალახი
103. ბიბლიური მთა
104. მამათა დიდი მონასტერი
105. პოლიტიკური გაერთიანება
106. მომღერალი ... დურგლიშვილი
107. მსახიობი ... რუსო
108. გულის მთავარი სისხლძარღვი
109. ვრცელი ველები არგენტინაში
110. მსახიობი ... ბერიმორი
111. ცისარტყელას ფერი
112. ძვ. ფრანგ. მონეტა
113. ჟელატინიანი კანფეტი
114. ზღვა მექსიკასთან
115. მხ/ფ „... ვოლოდიევსკი“
116. ქალაქი ბელგიაში
117. ასათქვეფი ხელსაწყო
118. მეფის ტიტული ძველ ეგვიპტეში
119. ხურდის შესაგროვებელი ნივთი
120. ექსპრეზიდენტი ჰარი ...
121. ვერცხლისწყალი, ანუ ...
122. ვიოლინოების იტალიელი ხელოსანი
123. ხილფაფა
124. ბრტყელი თევზი
125. სასვენი ნიშანი
126. მიმართვა გერმანელი ქალისადმი
127. ნეტარ ... მორწმუნენი
128. მზის ღმერთი რამონ-...
129. სისხლისმწოველი მწერი
130. კურორტი ბაღდათის რაიონში
131. მომღერალი ... პიეხა
132. ტროპიკული ბუზი
133. ომში: ... და ნაღარა
134. უკრაინის პარლამენტი
135. მსახიობი ... წულაძე
136. კინორეჟისორი ... ჰოვარდი
137. მოჭარბებული პატივმოყვარეობა
138. ნიადაგის ჩამოშლა
139. ყველაზე მაღალი ბალახი
140. დოსტოევსკის რომანი
141. გამის ნოტი
142. ავადმყოფობის ისტორია
143. ძიძა
144. მსახიობი ... მარტინი
145. მომყოლი (ანატომ.)
146. მსახიობი ... ლონგორია
147. რკინის საგანი ცხენის ფლოქვზე
148. სათვალიანი გველი
149. ესკიმოსების ყინულის სახლი
150. უძველესი კოლხეთი



პასუხები: 1. ბენზინი; 2. ბოკაჩო; 3. დავლური; 4. იკებანა; 5. კოლა; 6. კოპიტნარი; 7. ბიზე; 8. სკამი; 9. კარაოკე; 10. იოგი; 11. ბატკანი; 12. ამედეო; 13. აეროდრომი; 14. ნიჩაბი; 15. ავიტამინოზი; 16. „სიმფსონები“; 17. სარანდონი; 18. კანი; 19. რკო; 20. აზნავური; 21. პუარო; 22. პემზა; 23. იდალგო; 24. ორანგუტანგი; 25. სიამი; 26. როსი; 27. კრედო; 28. ანჩოუსი; 29. ბეისბოლი; 30. სუფლიორი; 31. გორილა; 32. ტასიკო; 33. ვარიანი; 34. სისხლი; 35. ასუნტა; 36. პიანინო; 37. მელანი; 38. ან; 39. ივ; 40. ევანდერ; 41. აფრა; 42. ანგინა; 43. გოია; 44. მანი; 45. ლენონი; 46. საფარი; 47. დეგა; 48. მონე; 49. დარეჯან; 50. რადიაცია; 51. ეტა; 52. ორერა; 53. აისბერგი; 54. ოფთალმოლოგი; 55. არაჟანი; 56. გვადი; 57. ისაკიჩ; 58. ამირეჯიბი; 59. ჩაი; 60. სკატი; 61. ბაჟე; 62. გაჯი; 63. არამ; 64. კასპაროვი; 65. სატურნი; 66. ფუნაგორია; 67. ჯინა; 68. ლედი; 69. ბატერფლაი; 70. ბომბეი; 71. ბრაილი; 72. ოცნება; 73. კარტოფილი; 74. ფუფუნება; 75. აკინი; 76. ნაბლა; 77. ბოსფორი; 78. „სერენადა“; 79. ოკაპი; 80. ჯორჯ; 81. პანსა; 82. ოქტავა; 83. კოლი; 84. ბოტი; 85. კრიჭა; 86. გაი; 87. ლობიო; 88. „ქაჯანა“; 89. ბიჟუტერია; 90. პანიკა; 91. კილიმანჯაროს; 92. გლისერი; 93. უაილერი; 94. სტოუ; 95. „აიაქსი“; 96. ქრომი; 97. ჯალაბი; 98. სტარი; 99. რეისი; 100. პილპილი; 101. პაროლი; 102. ტლაპო; 103. არარატი; 104. ლავრა; 105. პარტია; 106. რატი; 107. რენე; 108. აორტა; 109. პამპასი; 110. დრიუ; 111. იისფერი; 112. ლივრი; 113. მარმელადი; 114. კარიბი; 115. პან; 116. იპრი; 117. მიქსერი; 118. ფარაონი; 119. ყულაბა; 120. ტრუმენი; 121. სინდიყი; 122. ამატი; 123. ჯემი; 124. კამბალა; 125. ტირე; 126. ფრაუ; 127. არიან; 128. რა; 129. მოსკიტი; 130. საირმე; 131. ედიტა; 132. ცეცე; 133. ბუკი; 134. რადა; 135. ბაადურ; 136. რონ; 137. ამბიცია; 138. ეროზია; 139. ბამბუკი; 140. „იდიოტი“; 141. სი; 142. ანკეტა; 143. გადია; 144. სტივ; 145. პლაცენტა; 146. ევა; 147. ნალი; 148. კობრა; 149. იგლუ; 150. აია. იკითხება: პროფესიონალები.



1. „არქი-პელაგი გულაგი“ ავტორი
2. ქალაქი კანადაში
3. გმო-ღერალი მერაბ ...
4. სამ-კურნალო დანიშ-ნულება
5. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
6. დეკორა-ტიული ყვავილი
7. ხუთიანი სამეჯლისო შეჯიბ-რში
8. ... ხეთაგუ-როვი
9. მეფე არტურის პირველი რაინდი
10. „არა-ჩვეულებ. გამოფენის“ მეძებარი
11. კურორტი ნაწყურ-თან
12. შტატი აშშ-ში
13. მწერალი ერიხ მარია ...
14. მტაცებელი ფრინველის ფრენა
15. მსახ. ... მაკგრე-გორი
16. სპორტ. ინვენ-ტარის ფირმა
17. მსახიობი ალბერტო ...
18. მსახიობი ... დე ფიუნესი
19. ქვეყნის მთავარი ადმი-ნისტრაციული ქალაქი
20. დიდი საფარისო შესაერთი
21. მსახიობი გრეტა ...
22. სამიანი ნარდში
23. მექსიკური ქუდი
24. აფრო-დიტეს სატრფო
25. ცისა-რტყელას ფერი
26. გეომეტ-რიის „მამა“
27. მეგრულის კორექციის მანქანა
28. მსახიობი ... მიფუნე
29. გადა-ხურული ეტლი
30. ქალაქი საფრანგეთში
31. ფოლგა
32. ძველი ეგვიპტის ღვთაება
33. მათემა-ტიკური მოქმედება
34. ჟუჟა, ასე ...
35. ირანის საპორტო პორტო
36. მხ/ფ „ომახუ-ტუქა“ ...
37. მსახიობი ჟულია ...
38. მეცნიერი მიხეილ ...
39. „დათა თუთაშხია“ თაყაიშ-ვილი
40. მეფის მხლებ-ლები
41. ფეხ-ბურთელი ლიონელ ...
42. მხ/ფ „... კოზენი-ალურობა“
43. ... ფერსა-მშვილი ღმერთისა
44. ქანდაკება პირამი-დებთან
45. გიორგი საკაკის სოფელი
46. ზრდა-დასრულ-ლების ქათამი
47. საძოვარი ველი
48. ბურღუ-ლეული
49. მთათა სისტემა ამერიკ. კონტინენტ.
50. გახე-ხილი ხილი შაქრით
51. ძაღლის ჯიში ... პინჩერი
52. სიმინდის ყვავი-ლედი
53. ფედე-რიკო ფელინის ფილმი
54. ტრაგ-მატოლოგი ბიჭუკო ...
55. ... ძიდური
56. მსახ. ... გარდნე-რი
57. მხატვარი ოგიუსტ ...
58. ბან დაამზადა ცვილის ფორთები
59. რეპტილია
60. ჭავჭავაძ. ... ნაამბობი“
61. ტენორი ... კარუზო
62. პოეტი ... კალანდაძე
63. შეხვედრა, ასე ...
64. მონარქი
65. სისხლის-მწოვი მწერი
66. ბოჭკო-ვანი მცენარე
67. რუ-ქოსური რეზო ...
68. პოეტი ... ერისთავი
69. კამათი, მუდლობა
70. მსახიობი ვერონიკა ...
71. მოტორ-ანი ველოსი-პედი
72. ქურციკი
73. ცხენის კუდის ბალანი
74. მზის ღმერთი ეგვიპტეში
75. სიმინდ-ბული
76. ცხოველი: ადამიანის მეგობარი
77. „... ჭკუისა-გან“
78. მუხის ქერქი
79. გმო-ღერალი ვიქტორ ...
80. მსახიობი ... გიბსონი
81. ... ფიტც-ჯერალდი
82. ცხენის სხეულის უკანა ნაწილი
83. ... ქრისტიან ანდერსენი
84. „იყო შაშვი ... ღმერთი ჩვენი მწყალობელი“
85. მკერავი
86. საერთაშორისო გამოფენა, რომელიც ორ წლიწადში ერთხელ ტარდება
87. მსახიობი ედრიან ...
88. ქალაქი იაპონიაში
89. მსახიობი მარინა ...
90. ცეითელი საიუველ-ლირო ქვა
91. დადებითი ელექტ-როდი
92. აორტის ანთება
93. ქართ. ანბანის ბოლო ასო
94. გმო-ღერალი მარია ...
95. მამლის ჯოლა
96. გადამ-დნარი კარაქი
97. ცხარე საწებელი
98. ტენორი ... ლანცა
99. კინის დაწყების დრო
100. მორწყვის სისტემა
101. ჩეხური ავტომო-ბილი
102. ხერხემლის მძალი
103. მსახიობი ... ლეონიდ ...
104. ბალეტი „გედების ...“
105. პირველი სამნიშნა რიცხვი
106. მის-თვის ააგეს ბაბილონის ბაღები
107. მუსიკოსი ... გილესი
108. შოტ-ლანდიის დედაქა-ლაქი
109. შტატი აშშ-ში
110. კვების მენლდელთა რეჟიმი
111. ... კლარ-ჯეთი
112. ქალაქი მორგულ ადმისავ-ლეთში
113. საკარნახო ფურცელი
114. გემის მოძრავი კიბე
115. მსახიობი ... ჟოხონბე-ლიძე
116. გმო-ღერალი ... აგილერა
117. ქართული სოსტრადო ანსამბლი
118. ყირღანი ვოლგოგრადთან
119. მუსიკა-ლური გამის მესამე საფე-ხური
120. გლაზგოს საფეხბ. კლუბი
121. „შენ ... ვენახი“
122. შტატი აშშ-ში
123. ქალაქი საფრან-გეთში
124. გმო-ღერალი ... სუმაკი
125. ცანნის მასალა
126. გმო-ღერალი თიკა ...
127. გაზეთების ჯიხური
128. ... სუპიმ-გილი
129. ფეხ-ბურთის „მეფე“
130. დაბა ტუთორი წყაროს რაიონში
131. ... ცეცხლს მუა
132. ძაღლის ნაშიერი
133. თანა-მედროვე გეგანტ. ზღვები
134. ზამბახი
135. ძვ. თბილი-სური მომღერლა
136. სპორტ. ინვენტ. ფირმა
137. გამდი-დებელი მიწა
138. გამის ნოტი
139. კოსმო-ნავტიკის „მამა“
140. ძაფებით სამორთავი თოჯინა
141. სანწავლი დანიშ-ნულება
142. მსახიობი ... მარტინი
143. თმის წითელი საღე-ბავი
144. მსახიობი ... პაჩინო
145. მიშენება ოთახზე
146. სტალინის დედა
147. ... პო, ... არა

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## კვერცხის ჭამას ინფარქტის გამოწვევა შეუძლია?



ბევრისთვის საყვარელი პროდუქტი იმდენად სახიფათო აღმოჩნდა, რომ შესაძლოა, მის ხშირ მიღებას ათეროსკლეროზი და ინფარქტი და ინსულტიც კი მოჰყვეს.

კანადელი დიეტოლოგების ინფორმაციით, ბოლო პერიოდში ქათმის კვერცხზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც ადამიანებს დადებით შედეგებს ნამდვილად არ მოუტანს.

უფრო რომ დავაზუსტოთ, ერთ ცალ კვერცხში მისი ზომებიდან გამომდინარე, 215-275 გრამი ქოლესტერინი შედის, რის გამოც მისი მიღება განსაკუთრებით არ არის რეკომენდებული ადამიანებისთვის, რომლებიც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების რისკის ჯგუფში შედიან.

დიეტოლოგები გვირჩევენ, კვერცხი კვირაში მაქსიმუმ 2-3-ჯერ მივიღოთ, ჯანმრთელობაშერყეული ადამიანებისთვის კი კვერცხის მიღების მაქსიმალური რაოდენობა კვირაში – 1 ცალია.

*glamur.ucoz.net*

## სულ მალე დედამიწაზე ახალი ოკეანე გაჩნდება?



მოდით, ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავალთ, ერთად გავიხსენოთ იმ ოკეანეების სახელები, რომლებსაც კაცობრიობა იცნობს და რომელთა შესახებაც, სკოლის მოსწავლეებმაც შესანიშნავად იციან ყველაფერი (ყოველ შემთხვევაში, უნდა იცოდნენ). ესენია: ატლანტიკის, ინდოეთის, ჩრდილოყინულოვანი, წყნარი და სამხრეთის ოკეანეები.

ჰოდა, არ არის გამორიცხული, უახლოეს მომავალში დედამიწის რუკა შეიცვალოს და ამ ჩვენს ხუთ ცნობილ ოკეანეს ახალი, რიგით მეექვსე ოკეანეც დაემატოს!

ყოველ შემთხვევაში, მას შემდეგ რაც 2005 წელს მეცნიერებმა ეთიოპიის უდაბნოში 56-კილომეტრიანი რიფული რღვევა აღმოაჩინეს, დღეს კი ეს ტერიტორია კიდევ უფრო გაფართოებულა.

– ეთიოპიის უდაბნოში ტექტონური აქტიურობა უკვე არსებული ოკეანეების წიაღის აქტიურობის იდენტურია და თუკი ამ პროცესმა აღებული ტემპები შეინარჩუნა, არ არის გამორიცხული, რომ ტერიტორია წყლით დაფარულ სივრცედ გადაიქცეს, – განმარტავენ მეცნიერები.

ცხადია, თუკი მოვლენები მკვლევარების სცენარის მიხედვით განვითარდება, აფრიკის კონტინენტის მოსახლეობა უკიდურესად საშიშ მდგომარეობაში აღმოჩნდება და თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არსებული სიტუაციიდან გამოსავალი ჯერჯერობით ვერავინ მოიფიქრა, შედეგი მართლაც კატასტროფული იქნება.

*tainamira.ru*

## ხმის ჩახლეჩის გამო, მასწავლებელს 240 ათასიანი კომპენსაცია გადასცეს



აბა, სად დაფიქსირდებოდა ეს დაუჯერებელი და ქართველი მასწავლებლებისთვის საოცნებო შემთხვევა, თუ არა, ამერიკაში?!

როგორც ირკვევა, ვირჯინიის შტატის ერთ-ერთი სკოლის პედაგოგს იმის გამო, რომ მოუსვენარი მოსწავლეების დამშვიდების დროს ხმა ჩაეხლიჩა, კომპენსაციის სახით ჯიბეში 240 ათასი აშშ დოლარი ჩაუჩხრიალეს.

დაზარალებულად ჯოის უოლტერსი სასამართლომ უმოკლეს დროში აღიარა, რადგან საშუალო სკოლის პედაგოგს ხმა პროცესზე გამოსვლის დროსაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაბრუნებული.

– მოსწავლეების უსაქციელობის გამო, პედაგოგების ჯანმრთელობას უმცირესი ზიანიც არ უნდა მიადგეს, – ასე განმარტა საკუთარი გადაწყვეტილება შტატის მოსამართლემ და სკოლის ადმინისტრაციას ჯოის უოლტერსისთვის 240 ათასი აშშ დოლარის გამოყოფა დაავალა.

აი, ხომ გითხარით, დაუჯერებელი და ქართველი მასწავლებლებისთვის საოცნებო შემთხვევაა-მეთქი. აბა, ჩვენთან ვინ ზრუნავს პედაგოგებზე ასე? სამწუხაროდ, არც არავინ!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*top.rbc.ru*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**19 სექტემბერი:** შეეცადეთ, დააზუსტოთ, რა გაქვთ დღეს აუცილებლად გასაკეთებელი. წინააღმდეგ შემთხვევაში, რასაც მიაღწევთ, კვამლივით გაიფანტება.

**კურო 22.04-21.05**
**19 სექტემბერი:** რაც არ უნდა ხდებოდეს, საყოველთაო ყურადღების ცენტრში იქნებით. ამის თავიდან აცილებას ვერ შეძლებთ, ამიტომ მოთმინება გმართებთ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**19 სექტემბერი:** პრობლემა, რომელსაც დღეს წააწყდებით, მთელ დღეს წაგართმევთ. მასთან გამკლავება მარტო მოგიწევთ, რადგან ვინმეს დახმარება მხოლოდ ხელს შეგიშლით.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**19 სექტემბერი:** ამ დღეებში მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა მოგიწევთ, ვითარება შეიცვალა და სხვაგვარად მოქმედება მოგიწევთ.

**ლომი 23.07-22.08**
**19 სექტემბერი:** დღეს თქვენში ოპტიმიზმი და რეალიზმი იდეალურად იქნება შერწყმული. უცნაური ნაზავია, მაგრამ სწორ მოქმედებაში დაგეხმარებათ.

**ქალწული 23.08-22.09**
**19 სექტემბერი:** გადადეთ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება, სადაც კატეგორიული „არა“ და „კი“ უნდა თქვათ. რა პასუხიც არ უნდა გასცეთ დღეს, ხვალ აზრის შეცვლა მოგინდებათ.

**სასწორი 23.09-22.10**
**19 სექტემბერი:** დღეს თქვენი ნაღვაწის საყოველთაო განხილვაზე გამოტანის კარგი შესაძლებლობა მოგეცემათ. აჩვენეთ საზოგადოებას, რა შეგიძლიათ.

**მორიელი 23.10-21.11**
**19 სექტემბერი:** შეგიძლიათ დღეს გამართლებულ რისკზე წახვიდეთ. ოღონდ, გაითვალისწინეთ, თქვენი შეუპოვრობის გამოვლინებით, გინდათ თუ არა, ლიდერის მდგომარეობას დაიკავებთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**19 სექტემბერი:** დღეს მთელი სამყარო მოღუშული და უინტერესო მოგეჩვენებათ და ეს მანამდე გაგრძელდება, სანამ არ ჩათვლით, რომ დროა, გამხიარულდეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**19 სექტემბერი:** რაღაცა, რაც უბრალო უხერხულობად მიგაჩნიათ და ყურადღების ღირსადაც არ თვლით, მალე შეიძლება სერიოზულ პრობლემად იქცეს. ამიტომ, აჯობებს ახლავე მიხედოთ.

**მერწყული 20.01-18.02**
**19 სექტემბერი:** ყველაზე კარგი, რაც დღეს შეგიძლიათ გააკეთოთ, მიმდინარე მოვლენების მშვიდად აღქმაა. ემოციების გამოვლენისთვის შესაფერისი დღე არ არის.

**თევზები 19.02-20.03**
**19 სექტემბერი:** ეს დღე დიდწილად იმაზე იქნება დამოკიდებული, ვისთან ერთად გაატარებთ მას. ასე რომ, შეეცადეთ, არჩევანში არ შეცდეთ.

## დეპუტატის სავარძელი – ზეპოლიტიკური საკითხი



რა ხრიკებსა და მამაძაღლობას არ მიმართავს მავანი პოლიტიკოსი, რომ თბილ სავარძელში მოკალათდეს, რომელიც გარდა იმისა, რომ უდიდესი გავლენის საბადოა, თავისთავად ცხადია, ძალიან კომფორტულიც უნდა იყოს.

ჰოდა, სწორედ ამ მიზნით სერბეთის ერთ-ერთი ქალაქის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა საგანგებო სხდომა მოიწვია და ხელქვეითებთან ერთად დაიწყო მსჯელობა იმაზე, როგორი ქსოვილით უნდა მომხდარიყო მათი სავარძლების შემოსვა.

სელიმირ მომიროვიკმა, ქალაქ პოზარევაჩის მერმა აღნიშნული მიზნით სპეციალური კომისიაც კი გამოყო, რათა საკითხი დიდი ყურადღებითა და რუდუნებით გადაწყდეს.

სერბი ჩინოვნიკები საკმაოდ რთული არჩევანის წინაშე დგანან – სკამები ტყავში ჩასვან თუ ჩვეულებრივი ნაჭერი არჩიონ. ზოგი ამბობს, ტყავმა ოფლიანობა იცისო, ზოგს კი ნაჭერი არ მოსდის თვალში.

როგორი იქნება საბოლოო გადაწყვეტილება, რომ სერბმა ჩინოვნიკებმა თავიანთ საჯდომებს მეტი კომფორტი შეუქმნან, წინასწარ ვერ გეტყვით, თუმცა ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ ასეთ ადამიანების საჯდომის საუკეთესო „მასალა“ გემრიელი პანჩურია და სხვა არაფერი.

*kp.ru*

## მურაბა – განადგურებული ვიტამინები და ნულოვანი შედეგი ორგანიზმისთვის



ზამთრისთვის სხვადასხვა ხილისაგან მომზადებული კომპოტისა და მურაბის მომარაგება თითქმის ყველა ოჯახის ერთგვარი ტრადიციაა და ალბათ, ძალიანაც გიყვართ, მაგალითად, ლელვისა და თეთრი ბლის მურაბები, კაკლის მურაბაზე ხომ საერთოდ ჭკუა გეკეტებათ...

არსებობს მოსაზრება, თითქოს მურაბების წყალობით იმ ვიტამინების მიღება შეიძლება, რომლებსაც ესა თუ ის ხილი შეიცავს, მაგრამ ბუნების თავისებურებებიდან გამომდინარე, ზამთარში არ ხარობს.

აღმოჩნდა, რომ, სამწუხაროდ, ვცდებოდით, თუკი ვიტამინების მიღებას მურაბების ხარჯზე ვცდილობდით, რადგან, როგორც სპეციალისტები განმარტავენ, ხარშვის დროს ხილი ყველა სასარგებლო თვისებას კარგავს, რასაც, ცხადია, ადამიანის ორგანიზმისთვის არავითარი შედეგი არ მოაქვს.

მაშ, როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ ხილმა ვიტამინებით მოგვამარაგოს?

– გემრიელი ნაყოფით ზაფხულში უნდა ჩაიგემრიელოთ პირი და თუკი მაინც გსურთ, რომ არც ზამთარში დარჩეთ ხილის გარეშე, ასეთ შემთხვევაში, ნაყოფი კარგად უნდა გაყინოთ, – ასეთია სპეციალისტების რჩევა.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



წარწერა ღობეზე:

ნინიკოს+მიშა+ჯონი+იურა+ამირანა+სვარშიკი ზახარიჩა+ახვარი კოტე+ღრიალაანთ თემურა+სახელი არ მახსოვს, გრძელთმიანი როა+19 კაცი+ქმარი=სიყვარულს!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
ალია ≫211359457
კვირის ქრონიკა
დამფუძნებელი გიორგი ბრეგვაძე
რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი 30-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail:
alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 03.15